ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2011 №198 (5578) ფასი: 30 თეთრი

## მეთევზის ბადეს ადამიანის თავის ქალა ამოჰყვა

გვ.3

# სერგეი შამბა ავარიაში მოყვა, აფხაზეთის არჩევნებამდე კი 4 დღე დარჩა

გვ.3



გვ.6

ავარიის შედეგად შამბა და მისი დაცვის წევრი დაშავდნენ. სხეულის დაზიანებებით ისინი გაგრის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს. „აპსნიპრესი" აფხაზ ექიმებზე დაყრდნობით იუწყება, რომ შამბას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## ანქვაბი შეიძლება ხატზე დააფიცონ



გვ.2

## რატომ დააკავეს ესპანეთში ბიძინა გიორგობიანი

„ბიძინა გიორგობიანი პოლიტიკური დევნილია, რომელსაც გერმანიის მოქალაქეობა აქვს და გერმანიის ხელისუფლებამ კარგად იცის, თუ მას საქართველოს გადმოსცემენ, აქ ფიზიკური განადგურება ემუქრება".



## რატომ უნდა გადავიხადოთ 10.000 ლარი ფანჯრების შეცვლისთვის?

გვ.3



## ამერიკა საქართველოს სამხედრო დახმარებას არ შეუმცირებს

გვ.4



გვ.2

## ილია II: „ვიჩქაროთ სიკეთის კეთება!"

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები ამ კვირაში გამოქვეყნდება გვ.5

## „ლეიბორისტებმა" ანაკლიაში წასვლაზე უარი თქვეს



გვ.2

## ზაზა შათირიშვილი: სიტუაცია უიმედოა, მაგრამ — აბსოლუტურად არასერიოზული



გვ.4

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

8 „აგვისტოს 5 დღე" ამერიკაში უჩვენეს

6 გელა ნიკოლაიშვილი: „საკაშვილი ეკლესიის ორად გაყოფას ვერ გაბედავს"

7 ნინო ბურჯანაძე: „ბიძინას პოლიტიკურ თავშესაფარს ევროპა მისცემს"

7 ტყეების 100% კერძო სექტორს გადაეცემა

# რატომ დააკავეს ესპანეთში ბიძინა გიორგობიანი

თეა მარწვაი ე

**საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი შეფი ბიძინა გიორგობიანი თბილისიდან რამდენიმე წლის წინ გაიქცა. მას გერმანიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. ამ პერიოდის განმავლობაში მან რამდენიმე სკანდალური განცხადება გააკეთა, კერძოდ, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი კოკოითისთან კავშირში დაადანაშაულა.**

წინა მოწვევის პარლამენტში ოპოზიცია ყველანაირად ცდილობდა მის გამართლებას. მისი საკითხის შესასწავლად კომისიაც კი შექმნეს, მაგრამ უმრავლესობამ მის გამართლებაზე უარი თქვა.

ახლა ქართველი სამართალდამცავები მის საქართველოში ექსტრადირებას ითხოვენ. ცნობილი გახდა, რომ ყოფილი ქართველი ჩინოსანი ესპანეთის პოლიციამ დააკავა. ის საერთაშორისო ცირკულარით იძებნებოდა. ამის მიუხედავად, მას გერმანიამ პოლიტიკური თავშესაფარი მაინც მისცა.

ესპანური მედიის ინფორმაციით, გიორგობიანის დაკავების დღეს იმავე ქალაქში ინტერპოლის მიერ ძებნილი უკრაინის მოქალაქეც დააკავეს.

გიორგობიანს ბრალად სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობის დროს უფლებამოსილების გადამეტება და თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედება. თავად გიორგობიანი კი ამბობს, რომ მისი დევნა მას შემდეგ დაიწყო, რაც მან ხელისუფლების წარმომადგენლები ამხილა.

ამ თემაზე მაშინ ჩვენში ბევრს საუბრობდნენ. საუბრობდნენ იმაზეც, რომ ბიძინა გიორგობიანმა საქართველოდან ბევრი სკანდალური დოკუმენტი წაიღო.

ყოფილი დეპუტატი ბიძინა გუჯაბიძე დარწმუნებულია, გიორგობიანის საქმეს კარგად იცნობს. 2006 წელს ის ხელმძღვანელობდა ბიძინა გიორგობიანის საქმის შემსწავლელი საპარლამენტო ჯგუფს.

— თავის დროზე საპარლამენტო ოპოზიციამ მოითხოვა გიორგობიანის საქმის შემსწავლელი ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიქმნა კიდეც



და თავადაც ხელმძღვანელობდა. ჯგუფის მუშაობის ფარგლებში დაიკითხა შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თუმცა, დასკვნა, რომელიც ჯგუფმა დადო და გიორგობიანის უდანაშაულობას ამტკიცებდა, პარლამენტმა განსახილველად არ მიიღო. ის ხელისუფლების მიერ არის დევნილი. მას პირადად დევნიან მერაბიშვილი და ახალაია იმის გამო, რომ გიორგობიანმა ისინი კოკოითის რეჟიმთან თანამშრომლობაში ამხილა, რომლის დროსაც მილიონობით ლარი ირიცხებოდა ცხინვალის რეგიონში უსაბუთო ხე-ტყის შემოსატანად, რომელიც შემდეგ არალეგალურად უცხოეთში იგზავნებოდა, — განაცხადა სააგენტო „ინტერპრესნიუსთან" საუბარში ბიძინა გუჯაბიძემ.

ყოფილი დეპუტატი დარწმუნებულია, რომ გიორგობიანის საქართველოში ექსტრადირება არ მოხდება.

— ბიძინა გიორგობიანი პოლიტიკური დევნილია, რომელსაც გერმანიის მოქალაქეობა აქვს და გერმანიის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ თუ მას საქართველოს გადმოსცემენ, აქ ფიზიკური განადგურება ემუქრება, — ამბობს გუჯაბიძე.

მისი განმარტებით, გიორგობიანის დაკავება საზღვრის გადაკვეთის დროს მოხდა, როცა ის გერმანიიდან ესპანეთში მიემგზავრებოდა, რადგან, როგორც წითელი ცირკულარით ძებნილი, რომელსაც ინტერპოლი ეძებს, მას აუცილებლად დააკავებდნენ, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ესპანეთისა და გერმანიის მთავრობები მის ექსტრადიციას განახორციელებენ.

ბიძინა გიორგობიანის საქმის შემსწავლელ სპეციალურ საპარლამენტო ჯგუფში მუშაობდა დეპუტატი გია ცაგარეიშვილიც. გუჯაბიძის მსგავსად, ისიც დარწმუნებულია, რომ ესპანელი სამართალდამცველების მიერ გიორგობიანის დაკავებას საქართველოში მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან კავშირი არ აქვს.

— ხელისუფლების მაღალჩინოსნები ბიძინა გიორგობიანის პოლიტიკურ დევნას ახორციელებენ და გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებაც, რომელმაც გიორგობიანს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, მხოლოდ ამას ადასტურებს, — განაცხადა სააგენტო „პირველთან" საუბარში დეპუტატმა ცაგარეიშვილმა.

მისი თქმით, ამა თუ იმ პირისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების საკითხში გერმანია საკმაოდ კონსერვატიული ქვეყანაა და მსგავს გადაწყვეტილებებს მარტივად არ იღებს.

რაც შეეხება საქართველოში გიორგობიანის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს, როგორც ცაგარეიშვილი აცხადებს, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

— ხელისუფლებამ მისი დასჯა მხოლოდ იმის გამო გადაწყვიტა, რომ მაღალჩინოსანთა კარტელურ გარიგებებს ხე-ტყის ბიზნესის სფეროში წინ აღუდგა და, როგორც წესიერმა სახელმწიფო მოხელემ, მათი მითითებები არ შეასრულა, — განაცხადა დეპუტატმა.

მისი ინფორმაციით, ხე-ტყის ბიზნესის უკან იდგა ჯგუფი, რომელსაც შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ლობირებდა და რომლის მხრიდანაც ადგილი ჰქონდა უკანონო გარიგებებს, რასაც ბიძინა გიორგობიანი წინ აღუდგა.

მთელი ამ წლების განმავლობაში საუბრობდნენ იმაზე, რომ გიორგობიანს ჰქონდა ვიდეო და აუდიომასალა, რომლითაც ჟვანიას სიკვდილის საიდუმლოს ამოხსნა შეიძლებოდა. თავად გიორგობიანი ამაზე ღიად არასდროს საუბრობდა. არადა, ამბობენ, რომ მას გერმანიამ სწორედ ამ საიდუმლოს გამო მისცა პოლიტიკური თავშესაფარი.

მის გარდა, გერმანიამ პოლიტიკური თავშესაფარი კიდევ ორ ქართველს მისცა. ესენი არიან ქიბარ ხალვაში და მიხეილ ქარელი.

# ილია II: „ვიჩქაროთ სიკეთის კეთება!"



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, ილია II სიკეთის კეთების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე იქადაგა. ტრადიციული საკვირაო წირვის დასრულების შემდგომ უწმინდესმა მრევლს მოუწოდა, სიჩქარის კეთება იჩქარონ.

პატრიარქის განცხადებით, არავინ იცის, როდის მიიწვევს უფალი ამ ქვეყნიდან, ამიტომ ადამიანმა თავისი სიცოცხლის დრო სიკეთის კეთებას უნდა მოახმაროს.

— ეს თქვენ აქაც დაგეხმარებათ და იმქვეყნადაც. მორწმუნეებმა ჩვენი დრო იმაში უნდა გამოვიყენოთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ვიზრუნოთ სულიერ განწმენდაზე და სიკეთე ვაკეთოთ. სიკეთის გამკეთებლის მადლი გაცილებით მეტია, ვიდრე იმისა, ვისაც სიკეთეს უკეთებენ. უნდა დავეხმაროთ სხვებს სულიერად და მატერიალურად, ვისაც როგორ შეუძლია. ყველაზე დიდი მადლი სულიერი დახმარებაა - გაჭირვებული ადამიანის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, — ბრძანა პატრიარქმა.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, დღეს ხშირია ადამიანების სულიერი დაცემის შემთხვევები და ცოდვაც ხშირად გაიგივებულია ადამიანების თვისებასთან.

— დღეს იქმნება წარმოდგენა, რომ კაცობრიობა მთიდან მიექანება და მას ვერაფერი დააკავებს. ამაზე მეტყველებს ჩვენი დამოკიდებულება სხვა ადამიანებისა და ცოდვის მიმართ. ხშირად ცოდვას ადამიანის თვისებად მიიჩნევენ, თანდათან ადამიანი საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს და რა იქნება მომავალში, ღმერთმა იცის, № ბრძანა პატრიარქმა. სწორედ ამიტომ, უწმინდესის განცხადებით, აუცილებელია ყველა ადამიანმა სიკეთის გაკეთება იჩქაროს.

ქადაგების დასასრულს პატრიარქმა წარმოშობით ოსი დეკანოზი აბიბოს გუბაევი დამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა და სიხარული გამოთქვა, რომ საქართველოს ეკლესიის მსახურთა შორის აფხაზები და ოსები მრავლად არიან.

ქადაგების დასასრულს ილია მეორემ ტრადიციულად დალოცა რამდენიმე გვარი გურეშიძეები, ლაკლაკიშვილები, გუბაევები და ბასილაიები.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს კონსტიტუცია ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა



საქართველოს კონსტიტუცია ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრიდან" აცნობეს, უსინათლოებს ქვეყნის უზენაესი კანონის დამოუკიდებლად წაკითხვის საშუალება 24 აგვისტოდან მიეცემათ.

ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი, ამ დღეს უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლებს შეხვდება და ბრაილის შრიფტით დაწერილ საქართველოს კონსტიტუციას საჩუქრად გადასცემს.

„კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრში" აცხადებენ, რომ ქვეყნის უზენაესი კანონი ბრაილის შრიფტით მათი ხარჯებით დაიბეჭდა და მას ქართველი უსინათლოები საჩუქრად მიიღებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ლეიბორისტებმა" ანაკლიაში წასვლაზე უარი თქვეს

„ლეიბორისტებმა" პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოსაწვევები, ანაკლიაში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით, დახიეს.

პრესკონფერენციაზე „ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა აღარ გაბედოს და მათ აღარ გაუგზავნოს მსგავსი ტიპის მოსაწვევები. მისი თქმით, ისინი ღრეობებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

შატბერაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მას, შალვა ნათელაშვილს, გიორგი გუგავას და კახა ძაგანიას მოსაწვევები ბარათები მიუვიდათ 22 აგვისტოს, ქალაქ ანაკლიის დაფუძნებაზე.

— მოსაწვევში მითითებულია, რომ გვიწვევენ ქალაქ ანაკლიის დაფუძნებაზე. ქალაქი გამხდარა თურმე ანაკლია. სინამდვილეში სოფელია, სადაც ტურები ყმუიან. ქალაქად ანაკლია არავის მოუხსენიებია. ანაკლია დაჭაობებული ადგილია და საკურორტოდ უვარგისია. მიხეილ სააკაშვილმა მტრის ჯინაზე გააკეთა, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა და განმარტა, ეს იმ ფონზე ხდება, როდესაც შალვა ნათელაშვილის მშობლიურ სოფელ ბაზალეთს მიხეილ სააკაშვილმა გაზი გადაუკეტა.

შატბერაშვილის განცხადებით, სოფელ ბაზალეთში გაზი შეყვანილი იყო, თუმცა 2 წლის წინ სააკაშვილმა გადაუკეტა.

ამასთან, შატბერაშვილის განმარტებით, სოფელ ბაზალეთში გზას არ აკეთებენ, როდესაც გზები სააკაშვილმა თითქმის ყველა სოფელში გააკეთა.

**ინტერპრესნიუსი**

# კოკოითი ნარიშკინს ესაუბრა

კრემლის ადმინისტრაციის უფროსმა, სერგეი ნარიშკინმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითიმ დე ფაქტო რესპუბლიკაში წინასაარჩევნო ვითარება განიხილეს. ამის შესახებ კრემლის პრესსამსახური იუწყება.

— სახელმწიფოს მეთაურის არჩევის უფლება მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ხალხს ეკუთვნის. რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება და იმ პრეზიდენტთან ვიმუშავებთ, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ხალხი აირჩევს, — განაცხადა ნარიშკინმა.

შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობები, კერძოდ, ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობაც განიხილეს. ნარიშკინმა და კოკოითიმ ე.წ. სამხრეთ ოსეთში აღდგენითი სამუშაოებზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იმსჯელეს. ყურადღება განახვილდა იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომლებსაც დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკააში რუსული ბიზნესის მიზიდვის მიზნით დგამს.

გავრცელებული ინფორმაციით, სერგეი ნარიშკინი 20 სექტემბერს ცხინვალში ჩასვლას გეგმავს. მასთან ერთად ე.წ. სამხრეთ ოსეთში ასევე ჩავა რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრი სერგეი შოიგუც. ისინი ცხინვალს დე ფაქტო პრეზიდენტობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატის, საგანგებო სიტუაციების დე ფაქტო მინისტრის ანატოლი ბიბილოვის მხარდასაჭერად ეწვევიან. ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქმედ პრესიდენტ ედუარდ კოკოითის უფლებამოსილება მიმდინარე წლის ნოემბერში ეწურება. „საპრეზიდენტო" არჩევნები 13 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

**ინტერპრესნიუსი**

# რაჭაში მორიგი მიწისძვრა მოხდა

ამბროლაურის რაიონში 3,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, 22 აგვისტოს ბიძგები გამთენიისას, 06:47 საათზე, ქალაქ ამბროლაურის აღმოსავლეთით, 2 კმ-ის მანძილზე დაფიქსირდა.

ეპიცენტრი სოფელ ზემო კრიხში დაფიქსირდა. მიწისქვეშა ბიძგები სპეციალისტებმა 10 კმ-ის სიღრმეზე დააფიქსირეს.

რაჭაში 5,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა 18 აგვისტოსაც დაფიქსირდა. სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრა ამბროლაურიდან დასავლეთით 13 კმ-ში, სოფელ ბაჯში, 10 კმ სიღრმეზე მოხდა. მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია. ბიძგები მთელი საქართველოს მასშტაბით იგრძნობოდა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლეჟავაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეთევზის ბადეს ადამიანის თავის ქალა ამოჰყვა

მდინარე მტკვარში, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის თავის ქალა იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთმა მეთევზემ განუცხადა, თევზაობისას მის ბადეს თავის ქალა ამოჰყვა, რის შემდეგაც პოლიციას დაუკავშირდა.

ამ დროისთვის ორთაჭალჰესთან მდებარე ხიდზე სამართალდამცავები იმყოფებიან. შემთხვევის ადგილზე, ასევე, ექსპერტ-კრიმინალისტებს ელოდებიან.

სამართალდამცავების ვარაუდით, თავის ქალა რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილ ადამიანს ეკუთვნის. თავის ქალას ქვედა ყბა არ აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

# მდინარე კაბლისხევი სოფელში შევარდა

ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის მცხოვრებლები შველას ითხოვენ.

როგორც ადგილობრივმა გულნაზ მამედოვამ კახეთის საინფორმაციო ცენტრს ტელეფონით აცნობა, ადიდებული მდინარე კაბლისხევიდან წყალი სოფელში შევარდა, სახლები, გზები და ნაკვეთები დატბორა. ხალხი დატბორილი უბნიდან გასვლას ვერ ახერხებს.

— სულ წყალში ვართ. ვისაც ორსართულიანი სახლის აქვს, მეორე სართულებზე ავიდა. სახლში რაც იყო, სულ წყალმა წაიღო. აქედან გასვლა გვინდა, მაგრამ ვერ გავდივართ. ჩემი მეზობელი გადიოდა მანქანით და შიგ ჩავარდა. მანქანა გზაზე დატოვეს და ისევ სახლში დაბრუნდნენ, — აღნიშნა სტიქიით დაზარალებულმა.

**ინტერპრესნიუსი**

# კახეთის რეგიონს ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდება



ძლიერი წვიმის შედეგად კახეთში შექმნილი მდგომარეობის გამო, რეგიონის გარკვეული ნაწილისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა განუცხადა, სტიქიის გამო არის პერიოდული გათიშვები რიგ ადგილებში, რის აღმოსაფხვრელადაც მუშაობა მიმდინარეობს.

— მთლიანად კახეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილი არ არის. მიმდინარეობს მუშაობა, რათა მოსახლეობას დენის მიწოდება დროულად აღუდგეს, — აღნიშნა მან.

რეგიონში მოსულმა ძლიერმა წვიმამ საგარეჯოს რაიონის რაიონის ხუთ სოფელში, ასევე, ლაგოდეხისა და გურჯაანის სოფლებში საცხოვრებელი სახლები დატბორა. დატბორილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც. ადიდებულმა მდინარემ სოფელ შიბლიანთან დამაკავშირებელი ხიდი წაიღო. გარესამყაროს არის მოწყვეტილი გურჯაანის რაიონის სოფელი ჭერემი.

**ინტერპრესნიუსი**

# მდინარე შრომისხევმა ლაგოდეხში 8 ავტოფარეხი დაანგრია

ლაგოდეხში, მდინარე შრომისხევი ისევ ადიდებულია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მდინარიდან გამოვარდნილმა წყალმა, ზაქათალის ქუჩაზე 8 ავტოფარეხი დაანგრია, საავადმყოფოსთან მისასვლელი გზა და საფეხმავლო ხიდი კი წაიღო. წყლით არის სავსე ზაქათალის ქუჩაზე მდებარე კორპუსების სარდაფები, რის გამოც მოსახლეობა ევაკუირებულია.

ლაგოდეხში მობილიზებულები არიან კახეთის სამაშველო სამსახურის ჯგუფები. სტიქია მძვინვარებს ლაგოდეხის რაიონის სოფლებშიც. ადიდებულია ყველა მდინარე და ხევი. წყალი კალაპოტებიდან გადმოვიდა. ლაგოდეხი-წნორი-თბილისის მაგისტრალი ხუთ ადგილზე დატბორილია და მსუბუქი ავტომანქანების გადაადგილება შეზღუდულია. საცხოვრებელი სახლები დაიტბორა სოფლებში ნინიგორსა და აფენში. სოფელ კაბალის ერთ-ერთ უბანი მთლიანად წყალშია მოქცეული. იქიდან მოსახლეობის გამოსაყვანად ადგილობრივი ხელისუფლება ავიაციის გამოძახებას არ გამორიცხავს. მდინარეებიდან გადმოვარდნილი წყლისგან ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია დატბორილი.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოღაიდელის მოქმედი და ყოფილი თანაპარტიელები ერთმანეთს დაერივნენ

ნატალია ხოხიაშვილი მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის თავმჯდომარის სერგო ჯავახაძის მიერ მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს უსაფუძვლოს და ცრუს უწოდებს.

როგორც „პირველს“ ხოხიაშვილმა განუცხადა, მისი ყოფილი თანაპარტიელი სერგო ჯავახიძე უსინდისოდ იტყუება და მას ცილს წამებს.



— ჯავახიძე ცილს მწამებს, თითქოსდა მე გიორგი აფხაიძეს რაღაც არარსებული მასალებით ვაშანტაჟებ. ეს არის აბსურდი, გიორგი და შოთა აფხაიძეები ჩემი მეგობრები და საქართველოს ნამდვილი მამულიშვილები არიან. გიორგისთან ურთიერთობა მას შემდეგ არ მქონია, რაც სერგო ჯავახიძის დადგმული უნიჭო სპექტაკლით, იძულებული გავხდი დროებით პარტიული საქმიანობა შემეწყვიტა. მივესალმები, გიორგი აფხაიძის გადაწყვეტილებას, მან მართლაც ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა და საეჭვო რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსების გვერდით არ დადგა, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მე გიორგი აფხაიძეს ვაშანტაჟებდი, მისი კრიმინალური წარსულით, სრული აბსურდია, — განაცხადა ხოხიაშვილმა.

მისივე თქმით ზაზა სვანაძე, მასზე ადრე მიხვდა თუ რას წარმოადგენდა სერგო ჯავახაძე და მან პარტია დატოვა.

— ზაზა უნიჭიერესი რეჟისორია, მიხარია, რომ დღეს საქართველოს ისეთი უშიშარი ახალგაზრდები ჰყავს, როგორებიც გიორგი აფხაიძე და ზაზა სვანაძე არიან, — დასძინა ხოხიაშვილმა.

**პირველი**

# რატომ უნდა გადავიხადოთ 10.000 ლარი ფანჯრების შეცვლისთვის?

## სოსო ცისკარიშვილი: „ეს ჩვენი ხელისუფლების მმართველობის ლოგიკური გაგრ ელებაა“

ნონა ცაბა ე



**ორიოდე დღის წინ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა. დამოუკიდებელ ექსპერტთა განცხადებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ წლებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საქართველოს ხელისუფლების ტრადიციად ქცეული ე.წ. საზაფხულო გააქტიურება, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით.**

**„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა ერთობლივი განცხადება გაავრცელა. უფრო კონკრეტულად როგორია თქვენი პოზიცია და რას ფიქრობთ ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე?***

— ყველაფერი ხდება ზაფხულობით, რომ აერიდნონ რაიმე ორგანიზებულ პროტესტს და იყოს ნაკლები ხმაური, რომელიც არ დაარღვევს მათ ნაციონალურ სიმშვიდეს. რაც შეეხება იმ გზავნილს, რომელიც ჩვენ მიერ გამოქვეყნდა სხვადასხვა მედიასაშუალებაში, ეს იმ საკითხთა არასრული ნუსხაა, რომლებიც აქტუალურია ჩვენი საზოგადოებისთვის და რომელთა მიმართაც ხელისუფლება იჩენს ქრონიკულ სიბრმავეს, სიყრუესა და სიმუნჯეს.

***— დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმა განაცხადა, რომ რობერტ სტურუასთან დაკავშირებითაც დააფიქსირებდა საკუთარ პოზიციას.***

— თუ შევეცდებით, მოვიტანოთ მაგალითები ქსენოფობიური არა მხოლოდ გამონათქვამების, არამედ ქმედებებისაც, სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობისა და მისი აქტიური ლიდერების გამონათქვამებისა და ნაბიჯების სიმრავლე დაფარავს მთელი დანარჩენი საქართველოს მიმართ ასეთი ბრალდების თუნდაც თითიდან გამოწოვილ საფუძველს.

***— მედიის მიმართ რა ხდება?***

— ის, რაც მედიის მიმართ ხდება, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ოღონდ, არა დემოკრატიული, არამედ ავტორიტარული ხელისუფლების პირობებში. ამის მოწმენი ვართ ჩვენ, როგორ ბლოკავს ვითომ კერძო კომპანია „სილქნეტი“ ტელეკომპანიების საქმიანობას და ასეთი უკვე არაერთია. აქამდე იყო მხოლოდ „მაესტრო“, ახლა ემატება „თრიალეთი“, 25-ე არხი. ასეთი რა გემოვნების პატრონია ბატონი რამიშვილი, რომელიც ამბობს, რომ ის მეპატრონეა და თავად გადაწყვეტს, „მაესტროს“ ჩართავს თუ არა და ჩართავს თურმე იმ შემთხვევაში, თუ კარგად მოიქცევიან. იქნებ ქცევის ნორმები ჩამოგვიყალიბოს ბატონმა რამიშვილმა, როგორ უნდა მოიქცეს „მაესტრო“, რომ მონოპოლიზებული სატელევიზიო სიგნალის გამავრცელებელი კომპანიის ინტერესებში მოხვდეს. ჩვენ მოწმენი ვართ, რომ რურუამ დაუწუნა საქციელი სტურუას. ახლა რამიშვილი უწუნებს საქციელს დამოუკიდებელ ტელეკომპანიას. ჩამოგვიყალიბოს იქნებ ამ ორმა მეგობარმა ქცევის წესები საქართველოს მოქალაქეებისას და საქართველოს საინფორმაციო სივრცეში არსებული სუბიექტებისთვის. ჩავრთოთ შემდეგ მათი ჩამონათვალი საქართველოს კონსტიტუციაში და ვიცხოვროთ ამ წესით. სხვაგვარად, მაქვს დიდი ეჭვი, რომ საქართველოს მოსახლეობას სწორედ ამ ორი ადამიანის საქციელი არ მოსწონს, თუნდაც უკანასკნელად გამოვლენილი ქმედების გამო. არის თუ არა ეს ჩემი ეჭვი „გონივრული“, ამას, ალბათ, თავად მკითხველი შეაფასებს.

***— რატომ არ არის საზოგადოებაში პროტესტი?***

— გვაქვს როგორც გულდაწყვეტის, ასევე ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველიც წლევანდელ ზაფხულთან დაკავშირებით. ეს ნამდვილად უფრო აქტიური იყო საზოგადოების მხრიდან, ვიდრე შარშანდელი და მისი წინამორბედი ზაფხულები. ეს გამოიხატა სწორედ ჯაშუშომანიის შეტევის დამთავრებით, რაშიც საზოგადოებამ ხელი შეუწყო ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს, ამხილა უსუსური ბრალდების არარეალურობა. დაფრთხა ხელისუფლება შესაძლო სასამართლოს გამართვის ფაქტით და სასამართლოც მოიშორა და დაკავებული ფოტოგრაფებიც. ამით ჩათვალა, რომ ძალიან მაგარია. მაგრამ, ვინ არის მაგარი — ის, ვინც დაიჭირა? ის, ვინც გამოუშვა თუ ის, ვინც სატელეფონო საუბრები პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა მინისტრის გახადა საყოველთაოდ მოსმენადი და, უკეთეს შემთხვევაში, აღიარა უსუსურობა ქვეყნისა, რომ დაიცვას უმაღლესი თანამდებობის პირთა საქმიანი საუბრები. თუმცა, ასეთი ბილწსიტყვაობით, რომელიც მოვისმინეთ, საქმიანი საუბარი ნორმალურ ქვეყანაში არ უნდა მიმდინარეობდეს. პროტესტის თვალსაზრისით, რომელიც ჟურნალისტების პროფესიულ ღირსებაზე მიგვანიშნებს, საზოგადოების ნაწილთან და ადვოკატთა ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად, არის საკმაოდ მკაფიო მაგალითი იმისა, რომ პროტესტს აქვს აზრი ნებისმიერ უიმედო სიტუაციაშიც. ჩემთვის, რასაკვირველია, გულდასაწყვეტია, რომ თავად დევნილები ნაკლებად უჭერენ მხარს საკუთარ თავს. მაშინაც კი, როცა მათი სურვილისა და კანონის საწინააღმდეგოდ ხდება მათთან ხელისუფლების ურთიერთობა, მაინც ავლენენ პასიურობას არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ. აქაც, რასაკვირველია, საზოგადოების აქტიურობის გაზრდაა აუცილებელი სწორედ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებას კაბინეტური საუბრები განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებთან ეთაკილება, ამაზე დროის დაკარგვა ენანებათ და უბიძგებენ სიტუაციას ქუჩისკენ, სადაც მათ უდავო უპირატესობა გააჩნიათ. მე ადრეც ვაჟღერებდი ჩემს მოსაზრებას, რომ რევოლუცია არის ნაციონალური ხელისუფლების ოცნება, რადგან კაბინეტში საუბრითა და კამათით ისინი ვერავის დაარწმუნებენ საკუთარ სიმართლეში, ხოლო როცა ძალის გამოყენებაა საჭირო, ცხადია, ის შეუიარაღებელ მოსახლეობას ნებისმიერ დროს გაუსწორდება, თანაც ისეთი ველური ფორმებით, რომლებიც მან სიამოვნებით დანერგა საკუთარ პრაქტიკაში.

***— ამბობენ, რომ სოციალური ფონი შემოდგომიდან უფრო მეტად დამძიმდება, გაზრდილი გადასახადების სიმძიმეს მოსახლეობა ამ პერიოდიდან იგრძნობს და, შესაძლოა, სწორედ ამ დროს იფეთქოს მოსახლეობამ...***

— ვშიშობ, რომ შემოდგომა უფრო ოპოზიციურ ძალთა შორის კინკლაობაში გაივლის, ვიდრე რაიმე ერთობლივ საქმიანობაში. ამიტომ ინდივიდუალურად იქნება აუცილებელი, რომ თითოეული მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა დაფიქრდეს, რა არ მოსწონს მას ამქვეყნად და თავად რას აკეთებს, რომ არასასურველი რეალობა შეიცვალოს. ინდივიდუალური კონტაქტების ურთიერთობის მნიშვნელობა ბევრად უფრო იზრდება, ვიდრე რაიმე შეზღუდული ფორმის ან გაყალბებული ინფორმაციის მიწოდების პერსპექტივა. შემოდგომაც მალე მოვა... ერთის დაბეჯითებით თქმა შემიძლია მხოლოდ, რომ ვერ ვხედავ წინაპირობას იმისას, ჩვენმა ხელისუფლებამ ან ნირი იცვალოს, ან ფერი.

***— ალბათ, თბილისის მერიის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებაც გეცოდინებათ — თურმე მერიის უნებართვოდ საკუთარ სახლში ფანჯრის შეცვლისას 10 ათას ლარიან ჯარიმას გადაიხდით...***

— რასაკვირველია, ესეც მორიგი საზაფხულო საჩუქარია მოსახლეობისთვის, ისევე, როგორც საბავშვო ბაღებში ფასების ზრდა, ისევე, როგორც საბავშვო ბაღის დაფინანსების 15-მილიონიანი სეკვესტრი თბილისის ბიუჯეტში. ხომ გვახსოვს, რა ზარ-ზეიმით გადაიტანეს თბილისელთა ბიუჯეტი გუდაურის კურორტის გასაკეთილშობილებლად. რატომ? ვინ ერთობა გუდაურში ისე ხშირად, რომ თბილისელებმა საკუთარი ჯიბიდან მათი ყოფა გააუმჯობესონ?! ალბათ, მიხვდებით, რომ იგივენი, ვინც არიან მუდმივი გართობის მსურველნი და შემძლენი ზაფხულის პერიოდში, ანუ ზამთარ-ზაფხულ ზარ-ზეიმისა და სეირის მაყურებელი ხელისუფლება, რასაკვირველია, ბავშვების კეთილდღეობის ხარჯზე საკუთარ დასვენებას უპირატესობას რომ მიანიჭებს და საბიუჯეტო ხარჯებით დაიწყებს ასეთი მანიპულირების გამომჟღავნებას, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს 10 ათას ლარიანი ჯარიმა ფანჯრის გამოცვლისთვის იმავე რიგის ფენომენი გახლავთ, როგორიც პრიმიტიულად პატიმარი, ნარკომანია ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყარო. ამიტომ არის, რომ უკვე პროკურატურამ ნაწილობრივ შეცვალა მოსამართლის ფუნქციები, მიისაკუთრა და ახლა საპროცესო გარიგებისთვის აღარ არის საჭირო სასამართლოს გადაწყვეტილება. ახლა გაფრთხილება, ფანჯარა არ გამოცვალოო, ამის თემაზე მერის გარკვეული ფუნქციაა. ცივილიზებულ ქალაქებში ფასადი გარკვეული შეზღუდვების ქვეშ არის და რეგულირდება ადგილობრივი კანონმდებლობით, მაგრამ საქართველოში ფანჯრის გამოცვლისთვის კი არა, სულ რომ ააფეთქო სახლი, იმის ჯარიმაც რომ იყოს ათი ათასი ლარი, არაადამიანურად შეუსაბამოა. ცხადია, ეს იქნება გამოყენებული სრულიად კონკრეტული მიზნებისთვის, ვიღაცამ პირველ სართულზე მაღაზიის გახსნისას რაღაცა შეცვალა, დაერევიან ამ პირველ სართულზე მოვაჭრე პატარა ჯიხურებს და აღმოჩნდება, რომ ყველას ათ-ათი ათასი ექნება სექტემბერში გადასახდელი. ასეთი ვითარება ლოგიკური გაგრძელებაა იმ გზისა, რომელიც დღეს მმართველობის ფორმით ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში.

# ამერიკა საქართველოს სამხედრო დახმარებას არ შეუმცირებს

ქეთი ხომერიკი

**აშშ-მ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 78 მილიარდი დოლარით შეამცირა. ეს აუცილებლობა ქვეყანაში შექმნილმა ფინანსურმა სიტუაციამ გამოიწვია. ხომ არ შეეხება ეს შემცირება საქართველოს და რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას? ამ საკითხზე „ახალი თაობა“ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტს, ირაკლი სესიაშვილს, ესაუბრა.**



ირაკლი სესიაშვილი:

— ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი გაწერილია პროგრამულად. მისი დიდი ნაწილი ემსახურება სხვადასხვა საერთაშორისო მისიებს, განსაკუთრებით, ავლანეთის მისიას. მას შემდეგ, რაც ობამამ მიიღო გადაწყვეტილება ჯარების ეტაპობრივად გამოყვანის შესახებ, ის დამატებითი ხარჯები, რაც ავლანეთის მისიისთვის იყო განკუთვნილი, შემცირდება. შემცირების საფუძველი ასევე არის ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ზოგადად მსოფლიოშია და, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც საზოგადოების დიდი ნაწილი ითხოვს, რომ საბიუჯეტო ფინანსები უფრო მეტად მიმართული იყოს სოციალური და სხვა კეთილდღეობის მიზნებისათვის.

***— ჩვენ შეგვიმცირდება დახმარება?***

— ვფიქრობ, რომ ეს დახმარება არ შემცირდება, მეტიც, შეიძლება გაიზარდოს კიდეც. აშშ საქართველოს კოლოსალური თანხებით არ ეხმარება, მხოლოდ მცირედ დახმარებს უწევს, ამიტომ აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შემცირება ჩვენს დახმარებაზე უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. პირველ რიგში, ამერიკა გვეხმარება იმ ტექნიკური საშუალებებით და იმ წვრთნებით და სხვა პროგრამებით, რომლებიც გამოიყენება ავლანეთში და ავლანეთის მისიაში.

***— აშშ-მ და რუმინეთმა ამ ქვეყანაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოდ მიიღეს. 39-მა რესპუბლიკელმა სენატორმა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შემადგენელი რადარის საქართველოში განლაგებას დაუჭირა მხარი. ამ რადარის განთავსება საქართველოში ხელსაყრელი იქნება და ეს რამდენად განხორციელებადია?***

— რესპუბლიკელების გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიმართ მხარდაჭერა გამოავლინეს, ბევრს არაფერს ცვლის, რადგან აშშ-ს ადმინისტრაცია და ობამა დღეს ამისთვის მზად არ არიან. ყველაფერთან ერთად, აქ არის ტექნიკური საკითხები და არის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პოლიტიკური საკითხები, განსაკუთრებით ის, რომ რუსეთი სენსიტიურად უდგება მის ე.წ. გავლენის ზონებში აშშ-სა და ნატოს გაფართოებას, ამიტომ ეს საკითხი ასე მარტივად გადასაწყვეტი არ არის. ჩეხეთში, ბულგარეთში, რუმინეთში და პოლონეთში აშშ-ს მიერ რაკეტების განთავსების საკითხს დიდი დაპირისპირება მოჰყვა რუსეთსა და აშშ-ს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ნატოს წევრები არიან. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება მაშინ, როდესაც ასეთი რამ განხორციელდება საქართველოში, სადაც რუსეთს, ჩვენდა სამწუხაროდ, აქვს სამხედრო ბაზები და ასე ვთქვათ, გარკვეული ზეგავლენის ბერკეტებს ფლობს?!

***— ანუ გამორიცხულია, რომ ეს რუსეთმა დაუშვას? ისე, ეს სამომავლო პერსპექტივაა.***

— სამომავლო პერსპექტივაში ყველაფერია შესაძლებელი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოში რაკეტების განთავსება ერთგვარი ძლიერი ფარია იმ საფრთხეების ნეიტრალიზაციისთვის, რომლებიც ძირითადად მომდინარეობს ახლო აღმოსავლეთიდან და სხვა არაბული ქვეყნებიდან.

# ზაზა შათირიშვილი: სიტუაცია უიმედოა, მაგრამ — აბსოლუტურად არასერიოზული

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან რეჟისორ რობერტ სტურუას გათავისუფლებასთან დაკავშირებით სახელოვნებო წრეებსა და საზოგადოებაში გაჩენილ პასუხგაუცემელ კითხვებზე „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოსსა და კულტურის ანთროპოლოგ ზაზა შათირიშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო ზაზა, რობერტ სტურუას გათავისუფლება სახელოვნებო წრეების საკმაოდ დიდმა ნაწილმა დრამატულად აღიქვა. მომხდარით საზოგადოების უდიდესი ნაწილიც გაკვირვებული დარჩა. „ეთნიკური მეტაფორების გამო“ სტურუას მოხსნას თითქმის არავინ იჯერებს. ზოგი მომხდარს პოლიტიკურ დევნად, ზოგიც ხელისუფლების ზღვარგადასულ თავნებობად, ზოგიც ხელისუფლების მიერ ავტორიტეტების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის გაგრძელებად და დიდ მაესტროზე პატარა კაცების შურისძიებად აფასებს. ხელოვანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თემა არახალია, მაგრამ თქვენი აზრით, დასახელებულ შეფასებათაგან რეალობასთან უფრო ახლოს რომელია?***

— ამ თემაზე საუბარს ქსენოფობიის თემით დავიწყებდი. ხშირად ამბობენ, რომ ხელისუფლება არათანმიმდევრულია. ეს რომ ასეა, სტურუას გათავისუფლებამაც დაადასტურა. პრეზიდენტმა არა მარტო ქსენოფობიური, არამედ რასისტული ფრაზები რამოდენიმეჯერ სახალხოდ თქვა. სააკაშვილს ეკუთვნის სიტყვები — „ჩვენ არა ვართ ზანგები,“ „საქართველო არ არის ზიმბაბვე“, „საქართველო აფრიკის ქვეყანა არაა“, მაგრამ პრეზიდენტის ამ გამონათქვამებზე კულტურის მინისტრს რეაქცია არ ჰქონია. დიდი ხანია ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველანი სტურუას სპექტაკლში ვმონაწილეობთ. 70-იან წლებში სტურუამ შექმნა თავისი, როგორც თავად ხშირად ხმარობს ტერმინს, „ძალაუფლების თეატრი“. როცა საქართველოში 80-იანი წლების ბოლოს პროცესები დაიწყო, სულ მახსენდებოდა ფრაზა სპექტაკლ „კავკასიური ცარცის წრიდან“ □ „მას შემდეგ, რაც საქართველოში ეს ამბები დატრიალდა, დედაქალაქში ყველამ ზრდილობა დაკარგა.“ ამიტომაც ვამბობ — რასაც სტურუა დგამდა სცენაზე, ახლა მთელ საქართველოში ხდება. დასამალი არ არის, რომ სტურუას თემა მარადიულ, ხელოვანისა და ხელისუფლების დაპირისპირების თემას უკავშირდება. სტურუა თავისი სპექტაკლებით ყველანაირად ცდილობს ძალაუფლების მექანიზმების გაშიშვლებას. იგი ამბობს, რომ ახლა საჭიროა ხელოვნების ენაზე, მაგრამ იმაზე რაც ხდება, პირდაპირ ლაპარაკი. თავისი სპექტაკლებით ამას ახერხებდა. ამის გამო იყო სწორედ, რომ ხელისუფლება არ სწყალობდა. თბილისში ვცხოვრობთ და ვიცით - რაც მოხდა, მოსალოდნელი იყო. არავის და მათ შორის, არც მე მეპარება ეჭვი , რომ სტურუა პოლიტიკური მოტივაციით იქნა გათავისუფლებული. ხელისუფლებასა და სტურუას შორის დაპირისპირება 2005 წლიდან დაიწყო, 2007 გამწვავდა და ომის შემდეგ ღია კონფრონტაციის ფორმა მიიღო. ხელისუფლება მას თუ 9 აგვისტოს არა, ცოტა გვიან ანაც კიდევ უფრო მოგვიანებით მაინც გაანთავისუფლებდა. სტურუა ხელოვანებთან ხელისუფლების დაპირისპირების მხოლოდ ერთ-ერთი ჯაჭვია და დარწმუნებული ვარ, ეს მარტო სტურუას მოხსნით არ დამთავრდება.

***— არავინ დაობს, რომ თანამდებობის დატოვება სტურუასთვის დიდი ტრაგედია არ იქნება, მაგრამ თქვენი აზრით, როგორ აისახება ქართულ თეატრალურ კულტურაზე რობერტ სტურუას „ქსენოფობიის“ გამო დასჯა?***

— სტურუა რომ არ იყოს, ჩემი აზრით, ქართული თეატრალური კულტურის დონე საკმაოდ დაბალი იქნებოდა. თუ ისევ სტურუას არ ჩავთვლით, სამწუხაროა, რომ ყველაფერი იაფფასიან ხელოვნებამდეა დასული. ფაქტია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში კულტურის დონე ზომაზე მეტად დაეცა. თუ სტურუა საქართველოდან საერთოდ წავა, მაშინ ეს ქართული თეატრისა და საერთოდ ქართული კულტურისათვის საკმაოდ მძიმე დანაკლისი იქნება. დღეს ხომ ქართულ თეატრს სტურუას მსგავი კი არა, ოდნავ მიმსგავსებული დონის ფიგურაც არა ჰყავს.

***— ბატონო ზაზა, თქვენ უკვე კი ბრძანეთ — დიდი ხანია, გგონიათ, რომ სტურუას სპექტაკლში მონაწილეობთ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ — გამოითქმის მოსაზრება, რომ სტურუამ თავად მოახდინა პროცესების პროვოცირება და, რაც ახლა ხდება, ამ პროცესების რეჟისორი თავად დიდი მაესტროა. ბატონ რობერტს თავად უნდოდა ძალიან ახმეტელის, ალექსიძის, თუმანიშვილის ბედი გაეზიარებინა და თეატრიდან “მოხსნილის“ სტატუსით წასულიყო, თუ ხელისუფლებას შეცდომა დააშვებინა. თუ “შეცდომის დაშვების“ თემა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, აქაც საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას - რაში დასჭირდა მას ამის გაკეთება?***

— ჩემი აზრით, საკითხი სულაც არ არის იმაში, დააშვებინა თუ არა მან ხელისუფლებას შეცდომა და რაში დასჭირდებოდა ეს. ჩვენ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც თეატრის ხელმძღვანლის მოხსნა შესაძლებელია. სტურუას გათავისუფლების ბლანკი და მასზე საშინელი ბიუროკრატიული ენით დაწერილი გათავისუფლების ტექსტი, ქვეპუნქტებზე მითითება წავიკითხე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენ მარადიული განმეორებებისა და წრეზე ბრუნვის სტადიაში ვართ. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ ახლა აბსოლუტურ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობთ.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას საკუთარ თავზე აბსოლუტურად მცდარი წარმოდგენა აქვს. ისინი ფიქრობენ, რომ პროგრესულები არიან. სინამდვილეში, ასეთი ჩამორჩენილი და კულტურის თვალსაზრისით დაბალი დონის ხელისუფლება საქართველოს კარგა ხანია, არ ჰყოლია. ამიტომაც არის, რომ დღეს სტურუა აქტუალურია. ე.წ. „ზასტოის“ პერიოდში სტურუას სპექტაკლები არაჩვეულებრივად ასახავდა, როგორც არსებულ ვითარებას, ისე ძალაუფლების ხასიათს. ახლა ხელისუფლებაში საბჭოური ტიპის ხელისუფლებაა, უბრალოდ, ესენი ასაკობრივად ახალგაზრდები არიან.

***— ბევრი მიიჩნევს, რომ სტურუას „ქსენოფობიური გამოხდომა“ არაფერ შუაშია, ხელისუფლება პოსტრევოლუციურ საქართველოში, საბჭოური პერიოდისა და ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს ესთეტიზმის ალტერნატიული ესთეტიკის ძიებაშია. რამდენად მართებულია მტკიცება, რომ ბათუმის სცენაზე მიუზიკლ “ქეთო და კოტეს“ დადგმით ხელისუფლებამ ახალ ესთეტიკას ჩაუყარა საფუძველი და მიიჩნია, რომ ქართული თეატრის სცენიდან სტურუას ესთეტიკის გაძევების დროა. თქვენთვის რამდენად მისაღებია სტურუასთან დაკავშირებით განვითარებული ვნებათაღელვის ამგვარი შეფასება?***

— დღეს ჩვენთან ყველაფერი ხელისუფლებისადმი ლოიალობით იზომება. სწორედ ეს მიუთითებს, რომ ქვეყანაში არანაირი კულტურული კონსენსუსი არ არსებობს. ეს კი ნიშნავს, როგორც სააკაშვილი იტყოდა — „კულტურა ჩამოშლილია“. ნებისმიერ კულტურულ ქვეყანაში რეჟისორი შეიძლება იყოს მემარჯვენე ან მემარცხენე, მაგრამ თუ ის დიდი ხელოვანია, ნებისმიერ შემთხვევაში პატივს მიაგებენ. ფილოსოფოსი სარტრი მემარცხენე იყო, ჰაიდეგერი — მემარჯვენე. სხვათა შორის, ბევრი მას ნაცისტად მიიჩნევდა. პოლიტიკური განსხვავების მიუხედავად, სარტრი ჰაიდეგერს მასწავლებლად აღიარებდა. ჩვენთან კი რა ხდება. თუ ბუბა კიკაბიძე შენი მომხრეა, ის დიდი მომღერალია. თუ მეორე ხელოვანი შენი მოწინააღმდეგეა, ის ცუდი რეჟისორია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თუ საქართველოში კულტურის რაიმე ნარჩენები იყო, კულტურა უკვე საერთოდ აღარ არსებობს. ეს კი უკვე კატასტროფაა. ასეთ ვითარებაში რაიმე ახალ ესთეტიკაზე საუბარი აღარც არის. ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ ძალიან კარგი ოპერეტაა, მაგრამ მერე რა? ამერიკის ისეთ ქალაქში, როგორიც სიეტლია და კულტურის თვალსაზრისით გრანდ ქალაქებს არ მიეკუთნება, ყოველწლიურად იდგმება ვაგნერის „ნიბელუნგების ბეჭედი“ და ეს არც არავის უკვირს. სააკაშვილის ბათუმი სალტიკოვ-შედრინის „ქალაქი გლუპოვის“ დაემსგავსა. გული იმაზე მწყდება, რომ ბათუმიდან მართლაც შეიძლება გაკეთებულიყო მშვენიერი თანამედროვე საკურორტო ქალაქი. ახლა ბათუმი მეორეხარისხოვანი აზიური ქალაქი გახდა. სააკაშვილს არანაირი ესთეტიკა, გემოვნება და ის, რასაც კულტურა ჰქვია, არა აქვს. ზუსტად ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ სტურუას მოხსნაც. წარმოგიდგენიათ, ეს რომ გააკეთო, რა დონის ადამიანი უნდა იყო.



სააკაშვილის ბათუმი სალტიკოვ-შჩედრინის „ქალაქ გლუპოვის“ დაემსგავსა

***— თქვენი აზრით, სტურუას ესთეტიკის მთავარი არსი რაში მდგომარეობს და რა ნიშნებით ხასიათდება ხელისუფლების მიერ ინიცირებული ახალი ესთეტიკა, რომლის ნიმუშად, სავარაუდოდ, მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ უნდა მივიჩნიოთ?***

— ჩემი აზრით, სტურუას ესთეტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კარნავალურობა. მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფილოსიფოსი და ლიტერატურადმცოდნე მიხეილ ბახტინს რომ სტურუას სპექტაკლები ენახა, იტყოდა, ეს არის სწორედ ის, რაზეც ვსაუბრობ და ვწერო. ხელისუფლება სტურუას სტილის რეჟისორის შემოქმედებისათვის კარგ საფუძველს ქმნის. ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს, აშკარად პოლტიკური კარნავალია. სტურუასთვის ჩვენი ხელისუფლება შესანიშნავი ობიექტია. ჩვენი ხელისუფლება ხომ პოლიტიკის კარნავალიზაციითა და უგემოვნებობით გამოირჩევა. ჩვენი ხელისუფლების მოქმედება დიდი რეჟისორის ხელში არაჩვეულებრივი მასალაა.

***— ბრძანეთ, სტურუამ „ძალაუფლების თეატრი“ შექმნა. თუ მისი ესთეტიკის მახასიათებელი სწორედ კარნავალურობაა, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა კი პოლიტიკის კარნავალიზაციით გამოირჩევა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ თვალსაზრისით, ქართულ სივრცეში ისინი ერთგვარად კონკურენტებიც კი აღმოჩდნენ?***

— კონკურენტებად მათი განხილვა არანაირად არ შეიძლება. სტურუას მხარეს ნიჭია, ხოლო ხელისუფლების მხარეს — საოცარი უნიჭობა.

***— თითქმის ორი საუკუნეა, ქართულ კულტურაში აქტუალობას არ კარგავს ცაგარელის „ხანუმა“ და ამ ნაწარმოებებზე ექსპერიმენტების ჩატარების სურვილი. თქვენი აზრით, რატომ არის „ხანუმა“ ქართული თეატრალური კულტურისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები და 21-ე საუკუნეშიც რატომ ვტრიალებთ ისევ „ხანუმას“ ირგვლივ?***

— „ხანუმაში“, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ალქიმიური ქორწინება ქართული არისტოკრატიისა და სომხური ბურჟუაზიის. ეს რომ ცხოვრებაშიც ასე მომხდარიყო, ანუ, გარკვეულ ეტაპზე ქართული არისტოკრატიისა და სომხური ბურჟუაზიის სინთეზი მომხდარიყო, ეს ჩემი აზრით, ორივე მხარისათვის არაჩვეულებრივი იქნებოდა. „ხანუმაში“ გარკვეულწილად ჩადებულია ნოსტალგია, რომ ეს არ მოხდა. ეს ნოსტალგია ჩვენშიც არსებობს. დაპირისპირება და სიყვარული ყოველთვის ახლობლებს შორისაა. საუკუნეებია, ეს ორი ერი ერთმანეთთან ძალიან გადაჯაჭვურ-გადაწნულია. ჩემი აზრით, ცაგარელმა ძალიან ოსტატურად მოახერხა ამ მომენტის დაჭერა. „ხანუმას“ მუდმივად დადგმა, თითქოს სწორედ ამ გაშვებულ შანსზე მიანიშნებს.

***— თუ ისევ სტურუას თემას დავუბრუნდებით, წარმოუდგენელია, ხელისუფლება ვერ აცნობიერებდეს, რომ სტურუასთან ასეთი თამაში თავად ხელისუფლებისთვისაა წამგებიანი. ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის შეფასებით, დიდია იმის ალბათობა, რომ „ხელისუფლების კარიკატურული ბონოპარტიზმი, გროტესკულ ისტორიაში გადაიზარდოს“. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— უკვე გადაზრდილია. რურუა, რომელიც უშვებს სტურუას, რითმშიც კი ჯდება. ეს სარკისებური ანარეკლია იმისა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ბრეჟნევის „ზასტოის“ პერიოდის ხელისუფლებას ჰგავს. რურუაც ამ ანარეკლის ნაწილია. ამ თვალსაზრისით, რურუა სტურუას პაროდიაა, ჩვენ კი დიდი ხანია, გროტესკში ვცხოვრობთ. თავად განსაჯეთ, სტურუა კომუნისტებს გადაურჩა და ესენი ხსნიან. კაკო ბაქრაძეს აქვს კარგად აღწერილი რუსთაველის თეატრში 70-იან წლებში მიმდინარე პერიპეტიები. სწორედ იმ პერიოდში დადგა სტურუამ შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“, რასაც მაშინ დიდი ამბები მოჰყვა. სტურუა სულ ბეწვის ხიდზე გადიოდა და მოხსნა ვინ? რურუამ. ის, რომ კომუნისტებმაც არ იკადრეს სტურუას მოხსნა და რურუამ თეატრიდან გაუშვა, ეს თავისთავად არის ფანტასტიკური ისტორია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება თავისი არსით საბჭოური და ამავე დროს სასაცილოა. ეს არასერიოზული ხელისუფლება, თან საშიშია და თანაც - სასაცილოც. ამ ბოლო დროს, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ანეკდოტი ხშირად მახსენდება. ავსტრიელები და გერმანელები ომს აგებენ. სანგარში სხედან ავსტრიელი და გერმენელი ჯარისკაცი და საუბრობენ. გერმენელი ჯარისკაცი ამბობს სიტუაცია სერიოზულია, მაგრამ — უიმედო. რაზეც ავსტრიელი პასუხობს □ სიტუაცია აბსოლუტურად უიმედოა, მაგრამ — სრულიად არასერიოზული. მეც საქართველოს დღევანდელ ვითარებას ასე ვსაზღვრავ — სიტუაცია უიმედოა, მაგრამ აბსოლუტურად არასერიოზული.

**ინტერპრესნიუსი**

## პენიტენციური სისტემის მონიტორინგის საბჭოს შექმნას ითხოვენ



უფლებადამცავები პენიტენციური სისტემის მონიტორინგის საბჭოს შექმნას ითხოვენ. ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დახმარებას სთხოვენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ “კოალიცია ჩვენი უფლებებისათვის“ თანათავმჯდომარემ მაია ხარაძემ განუცხადა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელისუფლება უნდა აიძულოს, რომ მონიტორინგის საბჭო შეიქმნას.

მისივე განცხადებით, უფლებადამცავი ორგანიზაციები, უკიდურესად შეშფოთებულნი არიან იმ საგანგაშო მდგომარეობით, რასაც ადგილი აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში: ტუბერკულიოზით დავადებულ პატიმართა რაოდენობის კატასტროფული ზრდა და მათ მიმართ არასათანადო მკურნელობა, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ტემპერატურის ზრდის გამო გულსისხლძარღვოვანი სისტემით დავადებულ პატიმართა ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესება, წინა წლებთან შედარებით მსჯავრდებულთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის კატასტროფული ზრდა.

მისივე განცხადებით, ამას ემატება, ადმინისტრაციის მხრიდან პატიმართა მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა.

კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ შესაბამის მიმართვას ამზადებს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ხელმძღვანელობის სახელზე, რომ მოხდეს მათი მხრიდან ხელისუფლებაზე ზეწოლა, კონკრეტულად კი სასჯელაღსულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ხელმძღვანელობაზე.

**ინტერპრესნიუსი**

## მანდატურებმა დასუფთავების აქცია მოაწყვეს



მანდატურებმა და გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, აქციაში 200 მანდატური და გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლები მონაწილეობდნენ, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიას საყოფაცხოვრებო ნივთებით დაბინძურებული ნარჩენებისგან ასუფთავებდნენ, რადგან აღნიშნული ტერიტორია გამუდმებით მოითხოვს დასუფთავებას.

როგორც მანდატურებმა აქციის მიმდინარეობისას აღნიშნეს, მათი მიზანია, თავად შეიტანონ გარკვეული წვლილი ქალაქის დასუფთავებასა და ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში.

მათივე განმარტებით, აქცია არ არის ერთჯერადი ხასიათის და მსგავს ღონისძიებებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მომავალშიც გააგრძელებენ. **ინტერპრესნიუსი**

## ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები ამ კვირაში გამოქვეყნდება

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები დამდეგ კვირას გახდება ცნობილი.

როგორც „ინტეპრესნიუსს“ ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრიდან აცნობეს, სპეციალისტებმა აბიტურიენტთა სააპელაციო განაცხადების განხილვა დაასრულეს და მომავალი კვირიდან ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიები გამოქვეყნდება.



სულ კი ცენტრში აბიტურიენტების 630-მდე სააპელაციო განაცხადი შევიდა, მათგან ყველაზე მეტი მათემატიკისა და ქართული ენის გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით იყო, ყველაზე ნაკლები კი ზოგადი უნარების გამოცდების შედეგებს ეხებოდა.

გამოცდების ცენტრის ინფორმაციით, წელს ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად სტუდენტი უნდა გახდეს 33 ათასი ბაკალავრის პროგრამით და 3 ათასი პროფესიული პროგრამებით. **ინტერპრესნიუსი**

## ისნის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება

დღეს ისნის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება.

როგორც „პირველს“ კომპანია „თელასიდან“ აცნობეს, ქვესადგურში „მცირე ნავთლუღი“ სარემონტო სამუშაოების გამო, დღეს 10:00-დან 16:00 საათამდე ისნის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება მოსკოვის გამზირის და ქაიროს ქუჩის მაცხოვრებლებს დროებით შეუწყდება.

სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგება. **პირველი**

# სერგეი შამბა ავარიაში მოყვა, აფხაზეთის არჩევნებამდე კი 4 დღე დარჩა

## ანქვაბი შეი ლება ხატზე დააფიცონ

თეა მარხვაი ე

**აფხაზეთში პოლიტიკურმა ტემპერატურამ პიკს მიაღწია. 4 დღეში აქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება, რომელმაც აფხაზური საზოგადოება შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს. არჩევნებში მონაწილე სამივე კანდიდატს თანაბარი შანსები აქვს გამარჯვებისთვის. მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით სააგენტო „აპსნიპრესის“ ცნობით, აფხაზმა დეპუტატებმა და უხუცესებმა უკვე დაიჭირეს თადარიგი. მათ საგანგებო განცხადებები გაავრცელეს.**

უხუცესები აფხაზეთში დიდი პატივისცემით სარგებლობენ. 2004 წელს მათი აქტიური ჩარევით მოხერხდა აფხაზეთში სიმშვიდის შენარჩუნება. ისინი საქმეში მაშინ არჩევნების შემდეგ ჩაერივნენ. ახლა კი უფრო ადრე დაიჭირეს თადარიგი. უხუცესები კანდიდატებს და ამომრჩევლებს სიმშვიდისკენ მოუწოდებენ. მათი განცხადებით, აფხაზეთში სამოქალაქო დაპირისპირება დაუშვებელია.

— 26 აგვისტოს აფხაზეთის მოსახლეობამ უნდა გამოხატოს თავისი არჩევანი. ეს არჩევნები ისე უნდა ჩავატაროთ, რომ მთელ მსოფლიოს დავანახოთ, აფხაზეთი დამოუკიდებლობის ღირსია, — ნათქვამია უხუცესთა განცხადებაში, რომელსაც კონსტანტინე ოზგანი აწერს ხელს.

აფხაზეთის პარლამენტის წევრებმა კი საგანგებო მოსმენა გამართეს. მოსმენაზე პრეზიდენტობის სამივე კანდიდატი იყო მიწვეული. მოსმენას პარლამენტის სპიკერი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ აშუბა უძღვებოდა. ამ შეხვედრას ძალოვანი მინისტრებიც ესწრებოდნენ.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, მოსმენა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრაზე ალექსანდრე ანქვაბისა და სერგეი შამბას საარჩევნო შტაბებს შორის მიმდინარე დაპირისპირება განიხილეს. ისინი ერთმანეთს თენგიზ კიტოვანის ცნობილი ინტერვიუს გამო დაუპირისპირდნენ. ანქვაბის აზრით, კიტოვანი შამბას მიერ არის ნაყიდი.

შეხვედრის ზუსტ დეტალებს აფხაზი ჩინოსნები არ ყვებიან. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნუგზარ აშუბამ პატარა საიდუმლო მაინც გაამხილა. მან „ეხო კავკაზთან“ საუბარში განაცხადა, რომ შამბას კიტოვანთან საერთო არ აქვს.

— შამბამ თავის გამოსვლაში კატეგორიულად უარყო ყველა ბრალდება და განაცხადა, რომ ეს ყველაფერი კეთდება საერთო მტრების მიერ, რომ ეს იყო შეკვეთა, მაგრამ ის არ მოდიოდა სოხუმიდან, — განუცხადა „ეხო კავკაზას“ აშუბამ.

პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებელს საინტერესო მოსაზრება აქვს, თუ ვინ შეიძლება იდგეს კიტოვანის ცნობილი განცხადების უკან.

— რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ ისეთ ადამიანებს, ვისაც ჩვენ ყველანი ძალიან არ ვუყვარვართ? და თანაც, კანდიდატების ბევრ მომხრეს სურს რამენაირად თავი გამოჩენა, რათა მომავალში, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მიიღოს რაღაც დივიდენდები. არის ასეთი კატეგორიაც და მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ, — ვარაუდობს აშუბა.

საინტერესო შეფასებას აძლევს აფხაზ ჩინოსანთა „საიდუმლო სერობას“ ინალ ხაშიგი. ეს უკანასკნელი ოპოზიციური გაზეთის „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორია. თავის დროზე ის ვლადისლავ არძინბას პრესსამსახურს ედგა სათავეში.

— ამ შეხვედრას თერაპიული სეანსის ხასიათი ჰქონდა, რათა მათ აიყვანონ თავი ხელში და გავლენა მოახდინონ თავიანთ მომხრეებზე. პრეზიდენტობის კანდიდატები გარკვეული პერიოდის განმავლობაში მართლაც აიყვანენ თავს ხელში, მაგრამ საკმარისია, ვინმე გასცდეს შეთანხმებების ფარგლებს, საქმე ისე წავა, დღევანდელი საუბარი თითქოს არც ყოფილა, — განუცხადა „ეხო კავკაზას“ ხაშიგმა.

მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ შუამავალის როლს ისეთი ავტორიტეტები შეასრულებენ, როგორებიც არიან სტანისლავ ლაკობა, სოკრატ ჯინჯოლია, ოლეგ დამენია.

— მათ დიდი ავტორიტეტი აქვთ. ხალხი მათ პატივს სცემს, თუმცა, შესაძლოა, მათი ავტორიტეტიც კი ერთი-ორი დღე ეყოს, შემდეგ კი ემოციები ისევ თავისას იზამენ, — ამბობს ხაშიგი.

ხაშიგის წინასწარმეტყველება არ გამართლდა, რადგან მის მიერ ჩამოთვლილმა ავტორიტეტებმა უარი განაცხადეს შუამავლის ფუნქციის შესრულებაზე. უფრო სწორად, მათ ერთ-ერთ კანდიდატს დაუჭირეს მხარი.

სააგენტო „აპსნიპრესის“ ცნობით, აფხაზეთის პარლამენტის პირველი მოწვევის (1991-1996 წლების) დეპუტატებმა გადაწყვიტეს, მხარი ალექსანდრ ანქვაბის კანდიდატურას დაუჭირონ. ამასთან დაკავშირებით, პირველი მოწვევის დეპუტატებმა აფხაზურ საზოგადოებას საგანგებოდ მიმართეს.

მიმართვაში საუბარია იმაზე, თუ რა პრობლემებია აფხაზეთის წინაშე. დეპუტატები მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემებთან გამკლავება მხოლოდ ანქვაბს შეუძლია. საგანგებო მიმართვას ხელს ოლეგ დამენია, სოკრატ ჯინჯოლია, ლეონიდე ლაკერბაია, სტანისლავ ლაკობა და სხვები აწერენ.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ აშუბა არ უარყოფს, რომ აფხაზეთში რთული ვითარებაა. ამასთან, სიტუაციის გამწვავებაში ის რუსულ მედიას, კონკრეტულად კი „მოსკოვსკი კომსომოლეცს“ ადანაშაულებს.

აშუბას ამ გამოცემასთან პრეტენზიები სერგეი შამბას ინტერვიუს გამო აქვს. ცოტა ხნის წინ შამბამ გამოცემას ძალიან საინტერესო ინტერვიუ მისცა. პრეზიდენტობის კანდიდატმა პირდაპირ თქვა, არჩევნებს თუ არ მოვიგებ, რევოლუციას მოვაწყობო.

ჩე გევარას სინდრომით შეპყრობილმა შამბამ მეტი ეფექტისთვის ისიც დააყოლა, უკვე რამდენიმე რევოლუცია მაქვს მოწყობილიო. სად და როდის მოაწყო რევოლუციები, პრეზიდენტობის კანდიდატს არ დაუკონკრეტებია.

ამ ინტერვიუმ აფხაზური საზოგადოების სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია. ამაზე დიდი ამბებიც დაიწყებოდა, მაგრამ მოულოდნელად ჩვენი კიტოვანი გამოხტა და თქვა, ანქვაბი ქართულ დაზვერვაზე მუშაობდაო. ამის მერე შამბას რევოლუცია, ნუგზარ აშუბას გარდა, ყველას მიივიწყა.

აშუბა „მოსკოვსკი კომსომოლეცს“ ინსინუაციებში ადანაშაულებს და ამტკიცებს, შამბა რევოლუციაზე არაფერს იტყოდაო.

— მე მჯერა სერგეი მირონიჩის „მოსკოვსკი კომსომოლეცისთვის“ მიცემულ ინტერვიუსთანაც დაკავშირებით. მე არც ის მჯერა, რომ სერგეი მირონის ძე უცაბედად იტყოდა, რომ ის რევოლუციას მოაწყობს ქვეყანაში... მე მეეჭვება, რომ სერგეის შეეძლო ამის თქმა, — განაცხადა აშუბამ.

არადა, სერგეი შამბას საჯაროდ არსად უარუყვია რუსულ გამოცემაში გაკეთებული განცხადება.

ამ და სხვა განცხადებების გამო შამბა ისე მოექცა ყურადღების ცენტრში, რომ „თვალი ეცა“ და ავარიაში მოჰყვა. მისმა ავარიამ ტელედებატები ჩაშალა, რომელიც პირდაპირ ეთერში უნდა გამართულიყო. მასში მონაწილეობა სამივე კანდიდატს უნდა მიეღო.

ეს დებატები შეიძლებოდა შამბას გარეშეც გამართულიყო, თუმცა ანქვაბმა და რაულ ხაჯიმბამ ავარიაში მოყოლილ კონკურენტს სოლიდარობა გამოუცხადეს და დებატებიც ჩაიშალა.

რაც შეეხება ავტოავარიას, ის პრეზიდენტობის კანდიდატს ბიჭვინთისკენ მიმავალ გზაზე შეემთხვა. ის იქ ამომრჩეველთან შესახვედრად მიდიოდა. როგორც შამბას საარჩევნო შტაბი იუწყება, პრეზიდენტობის კანდიდატის კორტეჟი საათში 70 კმ სიჩქარით მოძრაობდა. მათ თურმე მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა მანქანამ შეუქმნა საავარიო სიტუაცია.



ავარიის შედეგად, შამბა და მისი დაცვის წევრი დაშავდნენ. სხეულის დაზიანებით ისინი გაგრის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს. „აპსნიპრესი“ აფხაზ ექიმებზე დაყრდნობით იუწყება, რომ შამბას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მართალია, შამბა თავს კარგად გრძნობს, მაგრამ მის საარჩევნო შტაბს საჩივარი შეაქვს. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გურამ დოპუა გენპროკურატურას ამ ავტოსაგზაო შემთხვევის სრულ გამოძიებას სთხოვს.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა შამბას საარჩევნო შტაბი გენპროკურატურას მიმართავს. პირველად ეს მიმართვა მათ 15 აგვისტოს დაწერეს. ისინი სამართალდამცავებისგან კიტოვანის განცხადებების გამოძიებას ითხოვდნენ.

კიტოვანის ინტერვიუსთან დაკავშირებით, შამბას შტაბმა კიდევ ერთხელ მოსდო შარი ანქვაბს. ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ანქვაბმა უარი თქვა აფხაზურ სალოცავ ანიხაში დაეფიცა, რომ ქართულ დაზვერვასთან არ თანამშრომლობდა.

ხატზე დაფიცების ტრადიცია აფხაზებში დიდი ხანია, რაც არსებობს. ისევე, როგორც სვანეთში, ხატზე დაფიცებისას ტყუილის თქმას ვერავინ გაბედავს. ამდენად, ანქვაბის არდაფიცებამ აფხაზებში დიდი ეჭვები გამოიწვია. თუმცა, როგორც გაირკვა, მისთვის ხატზე დაფიცება არავის შეუთავაზებია.

— ალექსანდრ ანქვაბისთვის არავის შეუთავაზებია, რომ მას ხატზე დაეფიცა, რომ ქართულ დაზვერვასთან არ თანამშრომლობდა. ამის გამო ის დაფიცებაზე ვერც ჰოს იტყოდა და ვერც არას, — განაცხადა პირდაპირ ეთერში გამოსვლისას შამილ აძინბამ.

ეს უკანასკნელი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატია ანქვაბის გუნდიდან. აძინბას არ დაუკონკრეტებია, საჭიროების შემთხვევაში დაიფიცებს თუ არა პრეზიდენტობის კანდიდატი ხატზე.

ანქვაბისა და შამბას დაპირისპირების ფონზე თითქმის არ ჩანს პრეზიდენტობის მესამე კანდიდატი — რაულ ხაჯიმბა, რომლისთვისაც ეს არჩევნები მესამე ცდაა. მისი გაუჩინარება, წესით, შემთხვევითი არ უნდა იყოს. საბჭოთა უშიშროების მიერ გამოზრდილი ხაჯიმბა შემთხვევით არაფერს აკეთებს და ჩრდილშიც ალბათ რაღაცის გამო გადაწყვიტა დადგომა.

წინა არჩევნებზე მას პუტინის მხარდაჭერამ ვერ უშველა. არადა, პირველი არჩევნების წინ პუტინმა მას საგანგებოდ აჩუქა გენერლის სამხრეები. მეორე არჩევნებისთვის ბაღაფშს უკვე დამტკიცებული ჰქონდა კრემლისთვის ერთგულება. ამ არჩევნებში რუსეთი ღიად არ ერევა და ამიტომაც ხაჯიმბამ გადაწყვიტა, სხვა ხერხისთვის მიემართა.

მან ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ვლადისლავ არძინბას ქვრივი დაასახელა. როგორც ჩანს, მას გაპრეზიდენტება არძინბას ავტორიტეტით სურს. არძინბას ავტორიტეტი მართლაც აქვს, მაგრამ ის მკვდარია, თუმცა ვნახოთ. რაიმეს გაკეთებისთვის ხაჯიმბას კიდევ 4 დღე აქვს.

# გელა ნიკოლაიშვილი: „სააკაშვილი ეკლესიის ორად გაყოფას ვერ გაბედავს“

შორენა კოწოწაშვილი

**არის თუ არა სააკაშვილის ინტერესებში ეკლესიაში განხეთქილება და რისთვის ემზადება პრეზიდენტი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ წევრ გელა ნიკოლაიშვილთან.**



*— ბატონო გელა, ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა იყოს სერიოზული საპროტესტო მუხტი და ოპოზიციური ფლანგის კოორდინირებული ქმედება. ქუჩის აქციებზე უნდა აიღოს ორიენტაცია ოპოზიციამ თუ არჩევნებზე შედეგის მისაღწევად?*

— ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საპროტესტო ტალღას მასობრივი ხასიათი არ ჰქონოდა და ეს საშიშროება ამოექოლა.

*— რა გაქვთ მხედველობაში?*

— რეალურად ადამიანების თითქმის 100% დასაქმებული საჯარო სამსახურში ხელისუფლებამ შეარჩია თავისი მომხრეობის ნიშნით. ვინც არის მისი მომხრე, მხოლოდ მას აძლევს ხელფასს და საარსებო საშუალებას. თანდათან ხდება განდევნა ყველა იმ ადამიანის, ვისაც რაიმე ოპოზიციური გამოსვლა ჰქონია და პოტენციურად ხელისუფლების მომხრე არ არის. სკოლის დირექტორებს პირდაპირ დაურიგეს სიები მასწავლებლების და უთხრეს, თუ თქვენ არ გაათავისუფლებთ, მაშინ თქვენ გათავისუფლდებით; რაც შეეხება კერძო სტრუქტურებში დასაქმებულთა პრობლემებს, მათი სიებიც გადარჩეულია, შეისწავლეს მათი პოლიტიკური პოზიციები და იმ ადამიანებს, რომლებიც მოიაზრებიან ოპოზიციონერებად საგადასახადო სანქციები დაადეს. ამის ნათელი მაგალითი იყო ჯერ „კვირის პალიტრაში“ შესვლა, შემდეგ უკვე „ასავალ-დასავალში“ და ასე გაგრძელდება ალბათ სხვა მედიასაშუალებებში. მესამე ხაზი, რომლითაც ისინი მუშაობენ, ეს არის პატიმრები. მოგეხსენებათ, პატიმრების რაოდენობა უკვე 30 000-ის ფარგლებშია. ალბათ ათჯერ მეტია დაახლოებით იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ახლა მსჯავრდებულები არიან, მაგრამ დაპატიმრებული არ არიან, ანუ რომლებთანაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და პირობითი სასჯელი აქვთ მისჯილი. ისინი ფაქტობრივად მძევლების მდგომარეობაში არიან. გადაამრავლეთ მათი ოჯახის წევრების რაოდენობაზე, ეს უკვე ძალიან დიდ მასშტაბებზე გადის. მეოთხე მიმართულება კოორდინატორები, რომლებიც დაახლოებით უბნის მაყურებლის დონეზე არიან და თითოეული ოჯახი იციან, ვინ რით სუნთქავს. ვინც ხმის მიმცემი არ არის ამ ხელისუფლებისთვის, მათზე გარკვეული რეპრესიული ღონისძიებების გატარება ეკონომიკური იქნება ეს თუ პოლიტიკური, თუ რეპრესიული აპარატის მიხედვით. ხოლო ვინც მომხრეები არიან, მათი წახალისება და ვინც ჭოჭმანობს, მათი დაინტერესება ფულით თუ სხვა შეღავათებით. ასე რომ, ძალადობა ანუ მუქარა და მოსყიდვა, ეს არის ის ორი მთავარი კომპონენტი, რომელიც მუშაობს და რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავა იმას, რომ მასობრივი ხასიათი — ეროვნული დაუმორჩილებლობის ხასიათი მიიღოს ამ გამოსვლებმა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დაახლოებით 80% მაინც არის ამ ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი. იმ მიზეზების გამო, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ეროვნული დაუმორჩილებლობა და მასობრივი პროტესტი ფაქტობრივად გამორიცხულია. უშედეგო გამოსვლებიც ხელს უწყობს იმას, რომ მოსახლეობა გულგატეხილია. და აღარ გამოდის. ასე რომ, მასობრივი გამოსვლებით ხელისუფლების დამხობის საფრთხე მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე არ არსებობს.

***— ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ ძალიან მძიმე შემოდგომა გველოდება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ეკლესიაში განხეთქილების გაღრმავებაზეც საუბრობენ.***

— ლეიბორისტებს ამაში ვეთანხმები. ამას ყველა ვხედავთ. პოლიტიკურად და ეკონომიკურად რა მდგომარეობაა, ამას ყველა ვხედავთ. იმასაც ვხედავთ, ეკლესიაში როგორ მუშაობენ განხეთქილებაზე. დაყავი და იბატონე — ამ ხელისუფლების მთავარი პრინციპია. ბოლოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონიც და შემდეგ განვითარებული მოვლენები ეკლესიაში და სინოდში ამის დასტურია. კიდევ ვამბობ, ამ მხრივ მძიმე მდგომარეობა იქნება, მაგრამ ეკონომიკურ სიმძიმესა და სიდუხჭირეს ზოგ შემთხვევაში ხალხი ქუჩაში გამოჰყავს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ხალხი ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავს და პირიქით, ცდილობს ხელისუფლებას როგორმე ასიამოვნის, რომ რაღაც ნაგლეჯი მიიღოს ბიუჯეტიდან გადმოგდებული 20 და 30 ლარის სახით. შემთხვევითი არ არის, რომ რაც უფრო გაჭირვებულია მოსახლეობა, მით იოლია ხმების ყიდვა. ასე რომ, გაჭირვება და ძალიან მძიმე შემოდგომა იქნება, მაგრამ მასობრივ გამოსვლებს, ყოველ შემთხვევაში, ისეთ მასობრივ გამოსვლებს, რომლებიც ხელისუფლების ყოფნა-არყოფნას საფრთხეს შეუქმნის, მე პრაქტიკულად არ ველოდები.

***— „ქართული პარტიის“ წევრი სოფო ხორგუანი ფიქრობს, რომ რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით მიღებული კანონი რეალურად ეკლსიის გახლეჩვას და ორი მართლმადიდებელი ეკლესიის და ორი პატრიარქის არსებობას ისახავს მიზნად. ანუ სააკაშვილს უნდა მორჩილი პატრიარქის ინსტიტუტის შექმნა. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ ხელისუფლების მხრიდან ეკლესიაზე შეტევა ერთადერთი მიზეზით არის განპირობებული: ხელისუფლება ებრძვის ყველა ავტორიტეტს და ყველა სფეროში იქნება ეს. სააკაშვილი ფიქრობს, რომ მის გარდა, არც ერთი ავტორიტეტი არ უნდა არსებობდეს. ან უნდა არსებობდეს მხოლოდ ისეთი ავტორიტეტი, რომელიც მას ემსახურება. ბუნებრივია, ეკლესიას დიდი ავტორიტეტი აქვს. ამ ავტორიტეტს სააკაშვილი ებრძვის და თანდათან არყევს. სააკაშვილმა იცის, როგორც კი პატრიარქი აღარ იქნება, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, თავისუფლად დასვამს იმ პატრიარქს, რომელსაც თვითონ გადაწყვეტს. აქედან გამომდინარე, არა მგონია, რომ ასეთ რადიკალურ ნაბიჯებზე წავიდეს, რომ გაყოს ეკლესია. ის, ერთის მხრივ, ცდილობს ეკლესიის ავტორიტეტი თავისთვის გამოიყენოს, მეორეს მხრივ, ეკლესია დაასუსტოს. სამწუხაროდ, პატრიარქს ხშირად სააკაშვილი დეკორაციად იყენებს. როდესაც პატრიარქის გვერდით ჩნდება. ასე რომ, არა მგონია, რაღაც ქირურგიული ჩარევები დასჭირდეს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ხელისუფლებას.

***— რობერტ სტურუაც რუსთაველის თეატრიდან გაშვებაც ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ჯდება?***

— რა თქმა უნდა. სტურუა არის ის ავტორიტეტი, რომელიც ხელისუფლებას არ ემსახურება. ასეთ ავტორიტეტს ბუნებრივია, ხელისუფლება ვერ აიტანს, მით უმეტეს, ხელფასს არ გადაუხდის. სააკაშვილის პოზიციაა, ნებისმიერ ადამიანს, ვინც მას არ ემსახურება, ხელფასი არ გადაუხადოს. ნაციონალები თვლიან, რომ ბიუჯეტი არის მათი „ობშჩიაკი“. „ობშჩიაკიდან“ კი ფული უნდა გადაუხადონ მხოლოდ მათ, ვინც არის მათი კრიმინალური გუნდის წევრი. ხელისუფლება არის მრავალათასიანი გუნდი და ამ მრავალათასიან გუნდში ისინი ვერ აიტანენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც თან ფულს აძლევენ და თან ოპოზიციონერები არიან. აქედან გამომდინარე, დღეს მხოლოდ ოპოზიციური აზრისთვის არავის აპატიმრებენ, მაგრამ დევნიან სხვა მეთოდებით. პურის ფულის შოვნაშიც პრობლემებს უქმნიან და უნდათ, ადამიანი შიმშილობის ზღვარზე მიიყვანონ. ამ გზით აიძულებენ და ადამიანმა ხელი ჩაიქნიოს და თქვას, შიმშილს ისევ ჯობია ხელისუფლებასთან მივიდეო.

***— სააკაშვილს სომეხი რომ უწოდა სტურუამ, მას ეს არ აპატია პრეზიდენტმა?***

— არა მხოლოდ ეს. ეს ხელოვნურად გაბერილი და აჟიტირებული თემაა. მე ამას სერიოზულად არც ვუყურებ. სომხობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ადამიანი საქართველოს ინტერესებს ემსახურება. ამ კუთხით რობერტ სტურუას ნამდვილად არ უთქვამს. მან თქვა მხოლოდ ეთნიკურ წარმომავლობაზე. მე ვფიქრობ, ეს არის სტურუას გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი და არა ერთადერთი. ძირითადი მიზეზი არის რობერტ სტურუას ავტორიტეტი და მისი ოპოზიციური განწყობა. ის არის ის ავტორიტეტი, რომელიც ხელისუფლებას არ ემსახურება. სააკაშვილი ფიქრობს, რომ ასეთი ადამიანი არ უნდა ფინანსდებოდეს ბიუჯეტიდან, მორჩა და გათავდა.

## საპროტესტო აქციებით ხელისუფლების შეცვლა გამორიცხულია



# უგულავამ „სამთავრობო“ ტელეკომპანიების ჟურნალისტები ჩაქვში წაიყვანა



თბილისის მერია „სამთავრობო“ ტელეკომპანიების ჟურნალისტებს დაბა ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ 10-დღიან სემინარზე მასპინძლობს.

„პირველის“ ინფორმაციით, სემინარში ტელეკომპანიების „რუსთავი 2“, „იმედი“, „რეალ-ტვ“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები მონაწილეობენ.

როგორც „პირველს“ გიგი უგულავას უწყებაში განუცხადეს, სემინარი მხოლოდ ტელე-ჟურნალისტებისთვის ტარდება და იგი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების განვითარების საკითხებს შეეხება.

— სემინარი რამდენიმედღიანია, მასში მონაწილეობა ყველა ტელეკომპანიას შევთავაზეთ, მათ შორის „მაესტროს“ და „კავკასიასაც“, თუმცა ყველაფერი ნებაყოფლობითია, — განუცხადა „პირველს“ მერიის წარმომადგენელმა თათა ქურხაშვილმა.

„პირველმა“ ინფორმაცია სემინარში მონაწილეობის შეთავაზების შესახებ „მაესტროსა“ და „კავკასიაში“ გადაამოწმა, თუმცა მათი წარმომადგენლების მტკიცებით, მსგავსი შეთავაზება მერიის მხრიდან არ მიუღიათ.

— ამ დღეების განმავლობაში მე მსგავსი ინფორმაცია არ მქონია, ჩემთვის არავის დაურეკავს, — განუცხადა „პირველს“ ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა თამარ რუხაძემ.

— როგორც წესი, მსგავს სემინარებთან დაკავშირებით ჩემთან რეკავენ ხოლმე, თუმცა ჩემთვის მერიიდან არ დაურეკავთ და მსგავსი შემოთავაზება არ გაუკეთებიათ, — განაცხადა ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალურმა დირექტორმა ნინო ჯანგირაშვილმა.

ცნობისთვის, სასტუმრო „ოაზისში“ სატანდარტული ნომრის ღირებულება 127 დოლარს შეადგენს.

დაფინანსდება თუ არა ჟურნალისტების დასვენება დედაქალაქის ბიუჯეტიდან, სააგენტოსთვის უცნობია, ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიამ „პირველისგან“ წერილობითი მიმართვა მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ გიგი უგულავამ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დასვენებაზეც იზრუნა და ივნისში დაახლოებით 3000-მდე აქტივისტს ასევე სემინარებზე ჩაქვში უმასპინძლა.

**პირველი**

# ანაკლია დღეს საკურორტო ქალაქის სტატუსს შეიძენს

ანაკლია 22 აგვისტოდანსაკურორტო ქალაქის სტატუსს შეიძენს. ქალაქში ჩასულ დამსვენებლებს განახლებული ინფრასტრუქტურა და ესპანელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული კილომეტრნახევრიანი ბულვარი დახვდებათ.

ანაკლიაში სასტუმროების, ფეხბურთის სტადიონების, კალათბურთის მოედნებისა და სხვა სპორტული თუ დასვენების ობიექტების მშენებლობა უკვე დაწყებულია. შენდება ორი ახალი სასტუმრო და ევროპაში ყველაზე დიდი, 540 მეტრიანი საფეხმავლო ხიდი, რომელიც ანაკლიას განმუხურთან დააკავშირებს.

დღეს ანაკლიაში გრანდიოზული აკვაპარკის მშენებლობაც დაიწყება. უკვე დასრულდა ევროპულ დიზაინზე მოწყობილი ამფითეატრი, რომელშიც ხვალ ვახტანგ კახიძის დირიჟორობით სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს. ერთსაათიან კონცერტზე სოფო ხალვაში, ვაჟა მანია, ნატო გელაშვილი და გიორგი უშიკიშვილი იმღერებენ. კონცერტს ნინო სურგულაზე დაასრულებს სიმღერით - „აფხაზეთო ჩემო“. ანაკლიის, როგორც საკურორტო ქალაქის პირველი დღე გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდება.



ანაკლიის განახლების იდეა პრეზიდენტს ეკუთვნის. შავი ზღვის ახალი კურორტის გახსნის ღონისძიების სამზადისი მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ თავად მოინახულა. როგორც ანაკლიის პატრიოტთა ბანაკში სტუმრობისას პრეზიდენტმა აღნიშნა, დარწმუნებულია, რომ ანაკლია მალე შავი ზღვის მთელ სანაპიროზე საუკეთესო კურორტი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ტყეების 100% კერძო სექტორს გადაეცემა

საქართველოს მთავრობა ქვეყნის მთელი სატყეო ფონდის გასხვისებას გეგმავს. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეგმის მიხედვით, პირველი აუქციონი სექტემბერში გამოცხადდება. მინისტრის თქმით, ტყეები ინვენტარიზაციის გარეშე გასხვისდება, რაც გარემოსდამცველების შეფასებით სერიოზული რისკია როგორც თავად ტყეებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ინვესტორებისთვის.



—□ტყის რესურსების გადაჭარბებული მოხმარება პირდაპირ კავშირშია სხვადასხვა სტიქიურ მოვლენასთან, რაც ამ ბოლო წლებში სულ უფრო მატულობს. ვითარება შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ტყის მთლიანი ფონდის კერძო სექტორისთვის გადაცემამ, მითუფრო, თუ ეს პროცესი მოსახლეობის ჩართულობისა და საზოგადოებრივი განხილვის გარეშე განხორციელდა, — აღნიშნავს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის პროექტის კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი.

მისივე თქმით, 2009 წლის გაზაფხულზე ეკონომიკური განვითარების ყოფილმა და გარემოს დაცვის მოქმედმა მინისტრებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება ტყეების გასხვისების პროცესის შეჩერების შესახებ. □

— მინისტრები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან შეთანხმდნენ, რომ პროცესი მანამდე არ გაგრძელდებოდა, ვიდრე არ აღმოიფხვრებოდა მისი ნაკლოვანებები და სერიოზული ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური რისკები, რაც ამ ნაკლოვან პროცესს ახასიათებდა. კერძოდ, პროცესის განახლებამდე უნდა მომხდარიყო სატყეო პოლიტიკის, სტრატეგიის შემუშავება, ტყეების ინვენტარიზაცია და კატეგორიზაცია — კლასიფიკაცია, მანამდე კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ინვენტარიზებული ტყეების ძალიან მცირე ნაწილის გაცემა ეკონომიკის სხვა სეგმენტების პარალიზების თავიდან ასაცილებლად, — ამბობს გეთიაშვილი.

მაშინ, გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ განაცხადა, რომ სამინისტროში უკვე მიმდინარეობდა სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების პროცესი.

2011 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რესტრუქტურიზაციის პროცესში, რასაც შედეგად მოჰყვა სატყეო სექტორის ენერგეტიკის სამინისტროსათვის გადაცემა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი მიზანი და შედეგი ტყეების, როგორც ბუნებრივი რესურსის, ათვისება იქნებოდა. ამ და სხვა საკვანძო საკითხების განხილვისთვის აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულმა პლატფორმამ საქართველოს პარლამენტის გარემოსდაცვით კომიტეტს მიმართა. საჯარო განხილვაზე კომიტეტის თავმჯდომარემ უარყო საზოგადოების შიში და განაცხადა, რომ საქმე ეხებოდა გარემოს დაცვის გამიჯვნას ბუნებრივი რესურსებისაგან და არავითარ შემთხვევაში - სახელმწიფო გარემოსდაცვითი ფუნქციების დაკნინებას.□

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა ასევე შეხვდა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია, რომ არც კი განიხილებიდა ტყეების გასხვისების პროცესის განახლება სატყეო პოლიტიკისა და სხვა აუცილებელი საბაზისო დოკუმენტების მომზადების გარეშე.

—□ასეთი წინაპირობების შემდეგ, მინისტრმა განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ტყეების იჯარით გაცემის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და პროცესი მიმდინარეობს. რბილად რომ ვთქვათ, ეს საზოგადოების იგნორირებაა. მანამდე, საჯარო პირების მიერ გაკეთებული საპირისპირო განცხადებები კი - საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ამასთან, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი სატელევიზიო აფიშირების პრაქტიკით საქართველოს ხელისუფლება უხეშად არღვევს საერთაშორისო კონვენციებით აღებულ ვალდებულებებს, — აცხადებს გეთიაშვილი.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, არასამთავრობოების ბრალდებები უსაფუძვლო და უაზროა.

—□ჩემთვის გაუგებარია არასამთავრობოების პროტესტი. მათი ბრალდებები უსაფუძვლო და უაზროა. ტყეების გრძელვადიანი იჯარით გაცემის შემთხვევაში ტყეს განადგურება არ ემუქრება. რეფორმის პრეზენტაციის დროს ყოველთვის ხაზს ვუსვამ, რომ ერთი ხის მოჭრის შემთხვევაში ლიცენზიანტი ვალდებულია 3 ხე დარგოს, — განაცხადა მინისტრმა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# იტალიური და თურქული ენების სტანდარტი შეიქმნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა იტალიური და თურქული ენების საგნობრივ პროგრამებზე მუშაობა დაასრულა. ამ თემასთან დაკავშირებით, მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ ბრიფინგი გამართეს.

როგორც კოკა სეფერთელაძემ განაცხადა, იტალიური და თურქული ენების საგნობრივი პროგრამის შინაარსი ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების მოქმედ სტანდარტს ემყარება.

ნათია ჯოხაძის თქმით, იტალიური და თურქული ენების საგნობრივ პროგრამებზე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტებთან ერთად, იტალიური და თურქული ენების მოწვეული სპეციალისტები მუშაობდნენ, რომლებმაც პროგრამები შექმნეს როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო-საშუალო საფეხურის სხვადასხვა დონისთვის. იტალიური ენის საგნობრივი პროგრამა იტალიის საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე გამოაცხადა 2012-2013 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი, მათ შორის იტალიური და თურქული ენების სახელმძღვანელოებზეც.

**ინტერპრესნიუსი**

# ეპისკოპოსი მიქაილ აჩაპიანი მთავრობასა და პარლამენტს დაუპირისპირდა

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის შირაქის ეპარქიის ეპისკოპოსი მიქაელ აჩაპაიანი სომხეთის მთავრობასა და პარლამენტს უპირისპირდება.

როგორც „ვესტიკავკაზა“ იუწყება, აჩაპაიანი შეშფოთებას გამოთქვამს ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც „რელიგიისა და სინდისის თავისუფლების“ შესახებ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს.

სომხეთის პარლამენტი საკანონმდებლო ინიციატივას მომავალ საშემოდგომო სესიაზე განიხილავს.

ეპისკოპოსის განცხადებით, ამ კანონის მიღებით ხელისუფლებას ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან ყურადღების გადატანა სურს. მისივე თქმით, სომხეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მართლაც უამრავი პრობლემაა, მაგრამ ამ კანონპროექტის წინა პლანზე გამოტანის აუცილებლობა არ არსებობს, მით უფრო, რომ რელიგიური ორგანიზაციები სომხეთში ისედაც თავისუფლად მოქმედებენ.

სომხეთის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის, გრიგორ მურადიანის განცხადებით, ამ კანონპროექტის მიღებით, სომხეთის სამოციქულო ეკლესიას პრივილეგირებულ მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება. მისივე თქმით, დღეს სომხეთში მოქმედი კანონით გაცილებით დიდი რისკი არსებობს და ახალი კანონპროექტი სწორედ ასეთი რისკების წინააღმდეგ არის მიმართული.

„ვესტიკავკაზას“ ინფორმაციით, დღეისთვის სომხეთში 67 რელიგიური ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, რომელთაგან 10 სომხურ ეკლესიას ეკუთვნის, 57 კი - სხვა კონფესიებს.

**ინტერპრესნიუსი**

# სამ ბრალდებულს ალტერნატიული სასჯელი დაეკისრა

სხვადასხვა სახის მსუბუქი დანაშაულისთვის გასამართლებულ 3 პირს ალტერნატიული სასჯელი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სახით დაეკისრა.



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცნობით, მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთ მათგანი საზოგადობისთვის ალტერნატიულ სასჯელს საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე მოიხდის და სტომატოლოგად 8 სასჯელაღსრულების დაწესებულების სამკურნალო პუნქტში იშრომებს. ორი გასამართლებული კი, ქალაქს დაასუფთავებს.

მსჯავრდებულებისთვის უსაფრთხო შრომის პირობებს დამსაქმებელი მხარე უზრუნველყოფს, პრობაციის ეროვნული სააგენტო კი, კონტროლს თანამედროვე მონიტორინგის საშუალებებით განახორციელებს.

ახალი პრაქტიკის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილი განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ მონაკვეთზე ჯპს ტექნოლოგიის საშუალებით გაკონტროლდება.

„საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი პროექტია. მათი ინფორმაციით, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, საზოგადოებრივი პროგრამები დანაშაულის პრევენციისთვის უფრო ეფექტურია, რეინტეგრაციის პროცესს ზრდის და დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

**ინტერპრესნიუსი**

# მე-8 საავადმყოფოსა და დამწვრობის ცენტრის ლიკვიდაციას გაასაჩივრებენ

თავისუფალი საქართველოს თავმჯდომარე კახა კუკავას ანცხადებით, ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ექიმების მასობრივი დათხოვნა და შემცირებების ახალი ეტაპი. უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ხელშეკრულებები შეუწყდათ თბილისის დამწვრობის ცენტრისა და მე-8 საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის ასეულობით წარმომადგენელს. მიუხედავად ხელისუფლების არაერთი განცხადებისა, რომ საქართველოს არ ჰყავს არცერთი ზედმეტი ექიმი, აღნიშნულ შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის თანამშრომლებისათვის სხვა ალტერნატიული სამსახური არ შეუთავაზებიათ.

— სამწუხაროდ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხდება დიდი ტრადიციების მქონე სამედიცინო დაწესებულებების ლიკვიდაცია, რაც რეალურად პრობლემას წარმოადგენს არამარტო სამედიცინო პერსონალისათვის არამედ პირველ რიგში პაციენტებისა და შესაბამისად მთელი საზოგადოებისათვის. ცხადია, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ჯანდაცვის სისტემის ნგრევა, — აცხადებს კუკავა.

თავისუფალი საქართველო უახლოესი რამოდენიმე დღის მანძილზე ჩაატარებს კონსულტაციებს კომპეტენტურ იურისტებთან, რათა გასაჩივრდეს ხელისუფლების გადაწყვეტილება მე-8 საავადმყოფოს და დამწვრობის ცენტრის ლიკვიდაციათან დაკავშირებით.

**მედიანიუსი**

# ნინო ბურჯანაძე: ბიწაძეს პოლიტიკურ თავშესაფარს ევროპა მისცემს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მისი მეუღლის ბადრი ბიწაძის საქმე სტრასბურგის სასამართლომდე მივა.



მისი თქმით, ბადრი ბიწაძის მიმართ პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე არც ერთი ევროპული სახელმწიფო უარს არ იტყვის.

როგორც ბიწაძის სასამართლო პროცესის შემდეგ ბურჯანაძემ განაცხადა, მისი მეუღლის საქმე 26 მაისთან დაკავშირებით დაკავებული უდანაშაულო პირების საქმეების მსგავსად სტრასბურგის სასამართლოში აუცილებლად 100 პროცენტიანი გამარჯვებით დასრულდება.

— ჯგუფური დანაშაულისთვის ადამიანს სასჯელი მიუსაჯეს ისე, რომ არ არსებობს არც თანამონაწილე, რომლის მიმართაც საქმეა აღძრული, არც ადამიანები, რომლებმაც ეს დანაშაული განახორციელეს ან ამ დანაშაულის განხორციელების მცდელობა ჰქონდათ. დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში სასამართლო და სამართალი არ არსებობს.

ეს არის ერთი რგოლი იმ უსამართლობისა, რომელიც ქვეყანაში სუფევს. ეს ჯაჭვი უნდა გაწყდეს. ძალიან მალე ყველა გათავისუფლდება, პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებლები და უსამართლობის დამამკვიდრებლები კი აუცილებლად წარდგებიან სასამართლოს წინაშე. საქალაქო სამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოშიც გავასაჩივრებთ, რათა შემდგომ ეს საქმე უკვე სტრასბურგში გადავგზავნოთ. არ ვაპირებ, პოლიტიკური შეკვეთების შემსრულებელ ორგანოებსა ჩემი მეუღლე მძევლად წარვუდგინო. სამართალს იქ ვეძიებ, სადაც ის არსებობს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ბადრი ბიწაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, დალი მეტრეველმა გადაწყვეტილება 19 აგვისტოს გამოაცხადა. ბადრი ბიწაძე დაკავებული არ არის, მასზე ძებნაა გამოცხადებული.

**მედიანიუსი**

# ერგნეთში რუსეთის მოქალაქე დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული სამმართველოსა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის სამმართველოს თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ ერგნეთში რუსეთის მოქალაქე დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ცნობით, ანატოლ მაქსიმენკო ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ დადგენილი წესების დარღვევის ფაქტზეა დაკავებული.

დაკავებული 2011 წლის 4 აგვისტოს როკის გვირაბის გამოვლით რუსეთის ფედერაციიდან ცხინვალის რეგიონში შევიდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სსკ ის 322 ე (პრიმა ერთი) მუხლის I ნაწილით. გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული მთავარი სამმართველოს საგამოძიებო ოპერატიული სამმართველო აწარმოებს.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge

# „აგვისტოს 5 დღე“ ამერიკაში უჩვენეს

ეკა ირემაშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში რენი ჰარლინის მიერ გადაღებული ფილმის „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერა გაიმართა. პრემიერამდე ამერიკული გამოცემები ჰოლივუდელი რეჟისორის ნამუშევრის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ გადაღებული ფილმის ამერიკული პრემიერა ლენდ მარკის კინოთეატრში შედგა. ნიუ იორკში ფილმში მონაწილე მსახიობები რეჟისორთან ერთად სრული შემადგენლობით ჩავიდნენ. ამერიკულ პრემიერას კი ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, პროდიუსერები, კინოკრიტიკოსები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შესახებ გადაღებული ჰოლივუდური ფილმი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან ბაზარს იკავებს. ამერიკული პრემიერის მიმართ ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ჩვენებამდე „აგვისტოს 5 დღე“ ხუთი დღის განმავლობაში ყველაზე გავლენიანი ამერიკული გამოცემების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. დასავლელმა კინოკრიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა ფილმი შეაფასეს.

თბილისში განაცხადეს, რომ პროექტმა გაამართლა, მთავარი მიზანი მიღწეულია.

— მსოფლიო საკუთარი თვალით კიდევ ერთხელ ნახავს იმ აგრესიას, რომელიც კრემლმა საქართველოში განახორციელა, — ასეთია ქართული მხარის მოსაზრება.

„აგვისტოს 5 დღის“ ჩვენებამდე გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსმა“ რენი ჰარლინის ფილმის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. გავლენიან გამოცემასთან სატელეფონო ინტერვიუში ფილმის რეჟისორმა გადაღებების პერიოდი გაიხსენა. ჰოლივუდელმა რეჟისორმა თქვა, რომ ეს არის სურათი იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს რუსებმა საქართველოში. მუშაობის დროს



გაწეული მხარდაჭერისთვის რეჟისორმა ქართველებს მადლობაც გადაუხადა.

— რუსებს, ალბათ, არ მოეწონათ ობიექტური ხედვით ფილმის გადაღების იდეა. მათ, ალბათ, არც კონფლიქტის ზონის სიახლოვეს ტანკებისა და თვითმფრინავების მოძრაობა ხიბლავდათ, — ნათქვამია სტატიაში.

ჟურნალისტი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ საქართველოზე განხორციელებული რუსული აგრესიის პირველი მოსკოვური ვერსია რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციიდან 3 თვეში გაჩნდა, მეორე სურათის პრემიერა კი რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში 4 თვის შემდეგ შედგა.

რენი ჰარლინის „აგვისტოს 5 დღე“ მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში რჩება. კიდევ ერთ ვრცელ სტატიას ფილმის შესახებ ეკონომისტი აქვეყნებს. ბრიტანული გამოცემის მიმომხილველი ფილმის გადაღებების პერიოდზე ვრცლად საუბრობს. ჟურნალისტი წერს, რომ ფილმის მთავარი მესიჯი იყო, მსოფლიოს დაენახა ის აგრესია, რომელიც დიდმა რუსეთმა პატარა საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა.

ჟურნალისტი ყურადღებას განახლებულ თბილისზეც ამახვილებს და ამბობს, რომ მიუხედავად რუსული აგრესიისა, საქართველო არაჩვეულებრივად გამოიყურება, ძველი თბილისი გამაოგნებელია, უნიკალურია ქართული კულტურა, ცეკვა, რაც საქართველოს ტურისტულ განვითარებაში ძალიან დიდ როლს ასრულებს.

„აგვისტოს ხუთმა დღემ“ თითქმის ყველა კონტინენტი მოიცვა. რენი ჰარლინის ფილმზე სხვადასხვა ვებგამოცემებიც წერენ. სტატიებში აღწერილია საქართველოში რუსული ინტერვენციის დეტალები და ხაზი აქვს გასმული, რომ ფილმი რეალურ ფაქტებზეა დაყრდნობილი. ჟურნალისტ მაიკლ ბოდისთან საუბარში ფილმის რეჟისორი აღნიშნავს, რომ „აგვისტოს ხუთ დღეზე“ მუშაობისას მისთვის ყველაზე რთული ომის შედეგად დაზარალებულებთან ურთიერთობა იყო.

— იმ დღეებში მე მართლაც მძიმე წუთები გადავიტანე, რომელიც არასდროს დამავიწყდება. უბრალო ბლოკბასტერს როდესაც იღებ, შედარებით ადვილია, აქ კი საუბარი იმ ომზე იყო, რომელიც რეალურმა ხალხმა რეალურ ცხოვრებაში სულ ცოტა ხნის წინ საკუთარ თავზე გადაიტანა. ამიტომ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. მეორე მხრივ, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ამ ფილმით მთელი მსოფლიოსთვის დამენახვებინა და გამეგებინებინა ის, რაც ვნახე და გავიგე ამ ომზე საქართველოში, — ამბობს ჰარლინი.

როგორც ამერიკული გამოცემები წერენ, „აგვისტოს ხუთი დღე“ პროქართული ანტირუსული ფილმია, რომელსაც არაფერ სხვაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. მას საერთაშორისო თანამეგობრობის ქართულ-რუსული კონფლიქტისთვის ყურადღების მიპყრობა არ შეუძლია. ამერიკული გამოცემა წერს, რომ ფილმისადმი ყურადღებას ძირითადად მისი ფინანსირება იპყრობს — მთავარი სპონსორი ქართველი დეპუტატი, ოქროს მომპოვებელი მაგნატი და ქართული ჯარია და რეჟისორის უცნაური არჩევანი — რენი ჰარლინი, რომელმაც ბოევიკებით გაითქვა სახელი და არა პოლიტიკური დრამებით.

რეცენზიის ავტორ ჯოშუა კიტინგის აზრით, ფილმის ტონი არ არის შენარჩუნებული, ზოგი სცენარისტული სვლა კი აბსოლუტურად ალოგიკურია. გარსია სააკაშვილს ძალიან ჰგავს და მის ემოციურობასაც შესანიშნავად გადმოსცემს, თუმცა, დანარჩენი მსახიობების თამაში არადამაკმაყოფილებელია.

— თუმცა, ფილმის ყველაზე სერიოზული პრობლემა ისაა, რომ გაუგებარია, რა გზავნილს აგზავნიან ფილმის შემქმნელები და ვის უგზავნიან ამ გზავნილს. ფილმში ჟურნალისტები კონფლიქტისადმი მსოფლიოს გულგრილობის გამო მუდმივად განიცდიან, ერთ-ერთი მათგანი შეშფოთებულია, რომ ყველას „კრემლის ვერსიის“ სჯერა. თუმცა, ეს ის არ არის, რაც მე მახსოვს. კონფლიქტმა დიდი ხმაური გამოიწვია. სააკაშვილი ამ მოვლენების საკუთარ ვერსიას დასავლურ მედიას მუდმივად წარუდგენდა. ერთ-ერთმა სენატორმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადა კიდევაც, რომ ყველა ქართველები ვართ. რა თქმა უნდა, საქართველო ამერიკელების უმრავლეობის მხედველობიდან გაქრა, თუმცა, ეს ქვეყანა ვაშინგტონში აქტიურადაა წარმოდგენილი, რაც გუშინდელი კინოჩვენებით დასტურდება. და თუ ვამბობთ, რომ ამერიკელების უმრავლეობას ახსოვს ეს ომი, გპირდებით, რომ ისინი ქართველების მხარეს არიან. ვეჭვობ, რომ რუსული ჯარების ნეგატიური ჩვენება ამერიკელებს არ დაშოკავს. ისინი ეკრანებზე ბოროტი რუსების ყურებას მიჩვეულნი არიან. ხალხი, რომელიც სიტუაციას იცნობს, ფილმის ნახვის შემდეგ საკუთარ აზრს არ შეიცვლის. ისინი, ვინც სიტუაციაში არ არიან გარკვეულნი, ფილმზე საერთოდ არ წავლენ, მხოლოდ ველ კილმერის სახელით კი ხალხი აღარ მოიხიბლება, — ასე აფასებს რენი ჰარლინის ნამუშევარს ჟურნალისტი ჯოშუა კიტინგი.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# ლიანა ისაკაძე საქართველოში

„ღამის სერენადები“ ზღვისპირა ქალაქში უკვე მესამედ იმართება. ფესტივალის დამფუძნებელი ქართველ მსმენელს დიდი სიურპრიზს უმზადებს. როგორც თავად ქალბატონი ლიანა აღნიშნავს, მსოფლიოში ცნობილ თითქმის ყველა მუსიკოსს უნდა მის მიერ დაარსებულ „ფეისბუქის ვირტუოზებში“ დაკვრა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჰყავთ ორკესტრები ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზში, აქვთ თავიანთი ფესტივალები, ვირტუოზების ორკესტრში დაკვრა ყველასთვის მნიშვნელოვანია. ფეისბუქის შექმნილი კამერული ორკესტრი მთელ მსოფლიოში უპრეცედენტო მოვლენაა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ორკესტრის მსოფლიო პრემიერა ცნობილმა მევიოლინემ სწორედ საქართველოში დაგეგმა.

ფესტივალის მონაწილეებს, ერთობლივი კონცერტების გარდა, სოლო გამოსვლებიც ექნებათ. წლევანდელი ფესტივალი „ღამის სერენადები“ ბათუმში განსაკუთრებული პროგრამით წარდგება. მანანა დავითაშვილის განცხადებით, წელს ისეთი პროგრამა შეირჩა, რომ ის საინტერესო ყოფილიყო არა მარტო კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ამ ფესტივალის ფარგლებშია დაგეგმილი, არის „მუსიკოსები ხუმრობენ“. ლიანა ისაკაძემ მიიღო გადაწყვეტილება, ეს ორი ფესტივალი გაერთიანდეს. საღამოს „მუსიკოსები ხუმრობენ“ წასაყვანად გერმანიიდან სპეციალურად ჩამოვა ქართველი მსახიობი რევაზ ჩხიკვიშვილი. „ღამის სერენადების“ ეგიდით მოეწყობა გამოფენა, სადაც ქართველი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინება.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძემ 1982 წელს დააფუძნა და 9 წლის განმავლობაში უწყვეტად არსებობდა. ქართველი მევიოლინე დღეს წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ. იგი ყოველთვის ცდილობს, სამშობლოში საინტერესო წინადადებებით ჩამოვიდეს და კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოება სასიამოვნო სიურპრიზებით გაანებივროს.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ 25 აგვისტოს გაიხსნება, პირველ კონცერტზე დაუკრავს ბათუმის სიმფონიური ორკესტრი დავით მუქერიას დირიჟორობით. ფესტივალის ფარგლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქველმოქმედო საღამოც ჩატარდება. ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული ფესტივალის საზეიმო დახურვა 28 აგვისტოს მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართება.

**ლაშა ჟვანია, საპატრიარქოს ფონდის ხელმძღვანელი:**

— წელს ფესტივალი „ღამის სერენადები“ განსაკუთრებული პომპეზურობით აღინიშნება, რადგან ლიანა ისაკაძის ინიციატივით შეიქმნა ახალი უნიკალური ორკესტრი, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები არიან. ფესტივალი 25 აგვისტოდან 29 აგვისტომდე გაგრძელდება. ლიანა ისაკაძის ახალ ორკესტრს სიმბოლურად „ფეისბუქის ვირტუოზები“ ეწოდა, რადგან სწორედ ამ სოციალური ქსელის მეშვეობით მოხერხდა ამ მუსიკოსების გაერთიანება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი აქტიურად უჭერს მხარს ქალბატონი ლიანა ისაკაძის ამ შესანიშნავ ფესტივალს, ულოცავს ბრწყინვალე ქართველ მევიოლინეს 65 წლის იუბილეს და ყოველთვის მზადყოფნას გამოთქვამს, „ღამის სერენადებს“ აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

● ქუთაისში იყიდება ბელეტაჟზე სახლი 800 კვადრატული ხეხილიანი ეზოთი. მისამართი: ნინოშვილის 233. ტელ.: 8431 26 60; 44 598 978744.

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# სესკ ფაბრეგასი: „არსენალში“ დარჩენა ადვილი იყო

**ესპანელი ფეხბურთელი სესკ ფაბრეგასი სანაკრებო დონეზე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ საკლუბო დონეზე დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. ლონდონის „არსენალში“ 7-წლიანი კარიერის მან ილზე მხოლოდ ინგლისის თასსა და სუპერთასს გამორჩა, ხოლო წელს „ბარსელონას“ მიაშურა და 7 წუთში უკვე ესპანეთის სუპერთასი მოიგო.**




კატალონიაში დაბრუნებული ფაბრეგასი უმალ ყურადღების ცენტრში მოექცა და ჟურნალისტები გამუდმებით აწუხებენ. სესკიც საკმაოდ ხალისიანად და შემართებით საუბრობს.

***— თავს როგორ გრძნობთ?***

— ბოლო თვეები დიდი ზეწოლის ქვეშ გავატარე. ეს ყველაფერი ფსიქოლოგიურად დამღლელი იყო, მაგრამ მოსახდენი მოხდა — „ბარსაში“ დაბრუნებით ძალიან გახარებული ვარ.

***— წარმოიდგენდით, რომ სახლში დაბრუნება ასეთი რთული იქნებოდა? ამ პროცესს დიდი დრო დასჭირდა.***

— ნაწილობრივ, ეს ჩემი ბრალია. თავის დროზე ვერც ვიოცნებებდი, რომ „ბარსელონაში“ თამაშს შევძლებდი. მე პირველ გუნდს ვგულისხმობ და არა ახალგაზრდულს.

***— პრეზენტაციაზე განაცხადეთ, რომ ვენგერი თქვენთვის მამასავით იყო. იცით, რომ „ბარსელონას“ გულშემატკივართა დიდ ნაწილს ფრანგ სპეციალისტზე არც ისე კარგი წარმოდგენა აქვს?***

— ვფიქრობ, აქ ვენგერზე არასწორი წარმოდგენა აქვთ. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, დღეს აქ რომ ვარ. გუნდში გადაწყვეტილებას ის იღებს და მითხრა, რომ შემეძლო, წავსულიყავი. ვენგერი მოლაპარაკების პროცესში ჩართული იყო და მისი წყალობით არის, რომ დღეს „ბარსას“ ფეხბურთელი ვარ.

***— მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ რატომ დატოვეთ „ბარსელონა“ 2003 წელს?***

— ვხედავდი, რომ პირველ გუნდში მოხვედრის შანსი არ მქონდა. თანაც, მაშინ ხავი ახალგაზრდა იყო. მის გარდა, გუნდში იყო ანდრეს ინიესტა და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც ჩემზე უკეთესები იყვნენ. თვდაპირველად ხუმრობა მეგონა, როდესაც ისეთმა დიდმა ინგლისურმა კლუბმა, როგორიც „არსენალია“, თავის გუნდში მიმიწვია. არსენ ვენგერმა თავისი არდადეგები იმის გამო დათმო, რომ მე ვენახე. მაშინ 16 წლის ვიყავი. ეს არანორმალური შემოთავაზება იყო.

***— ვიცით, რომ „ბარსა“ თქვენთვის მშობლიური კლუბია. და მაინც, რატომ გადაწყვიტეთ უკან დაბრუნება?***

— ჩემთვის „არსენალში“ დარჩენა ადვილი იყო. მე გუნდის კაპიტანი ვიყავი და ყველა მატჩში ვთამაშობდი. ჩვენი გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე სტაბილურად ხვდებოდა. ყველა ტურნირზე გამარჯვებისთვის ვიბრძოდით. ყველაფრის მიუხედავად, კარიერაში ცვლილება მაინც მჭირდებოდა. ვიცი, რომ „ბარსელონას“ ძირითადში მოხვედრა გამიჭირდება, მაგრამ ჩემთვის ეს დამატებითი მოტივაციაა. აქ თამაშით უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ.

***— 10 წლის წინ აცხადებდით, რომ მოედანზე ყველაზე სწრაფად პეპ გვარდიოლა აზროვნებდა. ახლაც ისევ იმავეს ფიქრობთ თუ სესკი უკეთესია?***

— არა, რა თქმა უნდა! ჩემამდე 2 ადამიანია, რომლებიც მოედანზე ყველაზე სწრაფად აზროვნებენ — ხავი და ინიესტა. ისინი ამას ყველა მატჩში ადასტურებენ. ეს ფეხბურთელები სტადიონზეც და სტადიონს მიღმაც ვარსკვლავები არიან. პეპი კი ჩემთვის მისაბაძი მაგალითი იყო.

***— დიდი ხნის წინ გვარდიოლამ თავისი მაისური გაჩუქათ, რომელზეც ეწერა: „შენ იქნები „ბარსას“ მომავალი 4“. როგორ მოხდა ეს ამბავი?***

— როდესაც 13 წლის ვიყავი, ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ამ დროს მე რომელიღაც ტურნირზე მივდიოდი, ზუსტად არ მახსოვს. მაშინ ძალიან ვნერვიულობდი და დეპრესიაში ვიყავი. ჩემი მწვრთნელი, ფანტასტიკური ადამიანი რუდოლფ ბორელი, ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ გვარდიოლა ამის გაკეთებას აპირებდა. ეს დაუჯერებელი იყო, ხუმრობა მეგონა. ამ მაისურს მამაჩემი ინახავს. ჩემთვის ის ყოველთვის განძად დარჩება.

***— თქვენ ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელი ხართ, 1987-ში დაიბადეთ. თამაშობდით მესისა და პიკეს მხარდამხარ. მაშინ თუ გისაუბრიათ იმაზე, რომ შესაძლებელი იყო, მომავალში „ბარსას“ პირველ გუნდში ერთად გეთამაშათ?***

— ერთად ძალიან ბევრ ტურნირზე გვითამაშია. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებდით მოედანზე. ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო იყო. თუმცა, მაგ თემაზე არასდროს გვისაუბრია. არა მგონია, ჩვენ სამიდან ერთ-ერთს სამივე ფეხბურთელი პირველ გუნდში წარმოგვედგინა.

***— რა დარჩა იმ სესკისგან, რომელიც 16 წლის ასაკში წავიდა? ხართ თუ არა ვენგერის აღმოჩენა?***

— ვფიქრობ, ცოტათი შევიცვალე. გარკვეულწილად, უფრო განვვითარდი. მე „ბარსელონაშიც“ და „არსენალშიც“ ბევრს ვშრომობდი იმისთვის, რომ უკეთესად მეთამაშა. ახლის სწავლას ყოველთვის ვცდილობ. არასწორია იმის თქმა, რომ ყველაფერი იცი და სხვაზე უკეთესი ხარ.

***— რას ფიქრობთ იმაზე, რომ ყოველდღე შენს საუკეთესო მეგობრებთან — პიკესთან და პუიოლთან ერთად ივარჯიშებ?***

— ეს ისაა, რაც ყოველთვის მინდოდა. ისინი შესანიშნავი მეგობრები არიან, მაგრამ გასახდელში ბევრი სხვა კარგი მეგობარიც მყავს. მართალია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების დროს მე პიკესთან და პუიოლთან ერთად ვცხოვრობდი. მათთან ერთად „ბარსელონაში“ თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ.

***— პიკეს ბავშვობიდან იცნობთ, პუიოლი კი არც ისე დიდი ხანია, რაც გაიცანით. მიუხედავად ამისა, ის თქვენთვის საუკეთესო მეგობარია.***

— კარლესი მართლაც ბრწყინვალე ადამიანია. შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, ცუდი პერიოდი მქონდა, მაგრამ პუიოლი ყოველთვის მამხნევებდა. საბოლოოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოედანზე გავედი და ყველაფერი კარგად დამთავრდა. მატჩის შემდეგ პუიოლმა მითხრა: „მოგემატა თავდაჯერება?“ ის მოედანზეც და მის გარეთაც ნამდვილი კაპიტანია. მსგავსი ადამიანი საფეხბურთო სამყაროში ძალზე ცოტაა.

***— თქვენი ტრანსფერის შემდეგ შექმნა თუ არა „ბარსელონამ“ მსოფლიოს საუკეთესო ნახევარდაცვის ხაზი?***

— დრო ყველაფერს გვიჩვენებს. ეს მოგებულ ტიტულებში უნდა აისახოს. ამ წელს „ბარსელონას“ მე და ტიაგო იმიტომ შევუერთდით, რომ გუნდს მეტი სარგებლობა შევმატოთ. ერთად ბრწყინვალე შემადგენლობას შევქმნით. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ბარსა“ თავის დონეს ინარჩუნებს და ტიტულების მოგებას აგრძელებს.

***— თქვენი ტრანსფერი გუნდს ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე დასჭირდა თუ მომავალშიც აქვს თქვენი იმედი?***

— იმედი მაქვს, გუნდს ახლაც ვჭირდები და მომავალშიც დავჭირდები. ამისთვის ბევრს ვიშრომებ. მე ახალგაზრდა ვარ და ჩემი საუკეთესო წლები მომავალში მელის. „ბარსელონაში“ კიდევ ბევრი რამის სწავლას შევძლებ.

***— „ბარსას“ ნახევარდაცვაში ბევრი ფეხბურთელი ჰყავს. თვლით, რომ ყველას შეუძლია, გუნდს სარგებლობა მოუტანოს?***

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებით, ერთნაირი საფეხბურთო ხედვა გვაქვს. ყველა მათგანს განსხვავებული თვისებები გვაქვს, რომლებიც კლუბს ძალიან გამოადგება.

***— „ბარსელონა“ ტიტულების მოგებას თამაშის იმავე სტილით გააგრძელებს, როგორითაც ბოლო წლებში თამაშობდა?***

— შევეცდებით, მაგრამ ეს უფრო გაჭირდება. რთული მეტოქეები გვყავს, რომლებიც განსხვავებულ სტილში თამაშობენ — „რეალი“, „ინტერი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ა.შ. ყურადღება გვმართებს, არ უნდა მოვდუნდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეგვექმნება.

***— დიდი ხნის წინ ითქვა, რომ გვარდიოლას შემცვლელი ხავი იყო. ხართ თუ არა თქვენ ხავის შემცვლელი?***

— არ ვიცი. ვფიქრობ, ხავის კარიერის დასრულებამდე კიდევ რამდენიმე წელი დარჩა. ის ისეთ რამეებს აკეთებს, რისი დაჯერებაც წარმოუდგენელია. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ხავი შევცვალო. აქ მასთან ერთად ვითამაშებ, მასთან ერთად გავიმარჯვებ, მასთან ერთად მოვიგებ ტიტულებს. იმავეს ვიტყოდი ანდრეს ინიესტასა და ტიაგო ალკანტარაზე.

***— „არსენალიდან“ ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდება?***

— რთულია გამორჩევა. ვფიქრობ, ჩემი დებიუტი. ამ მომენტს დიდხანს ველოდი. განაცხადში მოხვედრა იმდენად არ გამკვირვებია, რამდენადაც ძირითად 11 ფეხბურთელს შორის დასახელება. ჩემი ოჯახი ტრიბუნებიდან მიყურებდა. ეს საოცარი დღე იყო.




## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ნიუკასლი ... 0:1
არსენალი-ლივერპული ... 0:2
ასტონ ვილა-ბლექბერნი ... 3:1
სუონსი-უიგანი ... 0:0
ევერტონი-ქპრ ... 0:1
ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი ... 2:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-კარდიფი ... 1:1
ბრაიტონი-ბლექპული ... 2:2
ბრისტოლი-პორთსმუთი ... 0:0
დერბი-დონკასტერი ... 3:0
კოვენტრი-უოტფორდი ... 0:0
ნოტინგემი-ლესტერი ... 2:2
რედინგი-ბარნსლი ... 1:2
საუთჰემპტონი-მილუოლი ... 1:0
პიტერბრო-იფსვიჩი ... 7:1
ჰალი-კრ.პალასი ... 0:1

**იტალია. თასი**

ჯენოა-ნოჩერინა ... 4:3

*ჯენოას მეოთხე გოლი კახა კალაძემ გაიტანა*

ემპოლი-სამპდორია ... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი ... 0:2
ბაიერნი-ჰამბურგი ... 5:0
დორტმუნდი-ნიურნბერგი ... 2:0
ვერდერი-ფრაიბურგი ... 5:3
შტუტგარტი-ლევერკუზენი ... 0:1
კიოლნი-კაიზერი ... 1:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-აუე ... 1:1
უნიონი-ბოხუმი ... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-ოსერი ... 1:1
ბრესტი-ლიონი ... 1:1
დიჟონი-ლორიენი ... 2:0
კანი-ლილი ... 1:2
ნიცა-ტულუზა ... 1:1
აიაჩო-ევიენი ... 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლემანი-სედანი ... 3:1

**ჰოლანდია. ეხედივიზიონი**

ვიტესი-უტრეხტი ... 2:1
ჰერენვენი-ტვენტე ... 1:5
ექსელსიორი-გრააფსხაპი ... 1:1
ბრედა-გრონინგენი ... 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბენფიკა-ფეირენენსე ... 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-რუბინი ... 1:1

*რუბინელთა გოლი სოლომონ კვერკველიამ გაიტანა*

ცსკა-ტომი ... 3:0
კრ.სოვეტოვი-ზენიტი ... 2:5
ტერეკი-როსტოვი ... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ინვერნესი ... 2:1
დანდი-დანფერმლაინი ... 0:1
ხიბერნიანი-სტ.მირენი ... 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-ადმირა ... 2:2
კაფენბერგი-ნოიშტადი ... 0:2

**ბელგია. პროლიგა**

ვესტერლო-გენტი ... 2:3
ჰევერლე-მეხელენი ... 1:2
სერკლი-გენკი ... 3:2
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი ... 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ბაზელი ... 3:1
ციურიხი-ქსამაქსი ... 0:2

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

დუკლა-პლზენი ... 2:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-ბელხატოვი ... 1:0
ვიძევი-ბიტომი ... 1:0
კორონა-ვისლა ... 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ობოლონი ... 1:0
ჩერნომორეცი-ვოლინი ... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ლუნგბიუ ... 3:1
ჰორსენსი-კოპენჰაგენი ... 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-გაისი ... 2:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სარპსბორგი-ვალერენგა ... 0:2

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

დუბლინი-სლიგო ... 0:1

**აშშ. მლს**

ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი ... 2:2
ჰიუსტონი-სოლტ ლეიკი ... 3:2
დალასი-სიეტლი ... 0:1
კოლორადო-ჩივასი ... 2:2
პორტლენდი-ვანკუვერი ... 2:1
ლოს ანჯელესი-სან ხოსე ... 2:0

**ბრაზილია. სერია ა**

ბოტაფოგო-ატლეტიკო(მ) ... 3:1
კორინთიანსი-ფიგეირენსე ... 0:2
კრუზეირო-სეარა ... 1:0

**არგენტინა. აპერტურა**

არსენალი-ველეჟი ... 0:1
სან მარტინი-ლანუსი ... 0:0
სან ლორენცო-არხენტინოსი ... 3:1
ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი ... 1:0

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

საფრანგეთი-ხორვატია ... 83:60
დ.ბრიტანეთი-ჩინეთი ... 64:56
სერბეთი-ავსტრალია ... 69:78
თურქეთი-ბელგია ... 66:60
გერმანია-საბერძნეთი ... 56:69
ჩერნოგორია-ახ.ზელანდია ... 78:72
ურუგვაი-არგენტინა ... 50:77
ესპანეთი-სლოვენია ... 73:61
ლიტვა-ლატვია ... 95:75

### ფრენბურთი

**მსოფლიო გრან პრი**

**ქალები**

ჩინეთი-ყაზახეთი ... 3:1
აშშ-პერუ ... 3:0
იტალია-გერმანია ... 3:0
კუბა-არგენტინა ... 3:0
სერბეთი-ს.კორეა ... 3:0
იაპონია-რუსეთი ... 3:0

### რაგბი

**ამხანაგური მატჩები**

უელსი-არგენტინა ... 28:13
ირლანდია-საფრანგეთი ... 22:26

### ჩოგბურთი

**ატპ. ცინცინატი. ფინალი**

მიურეი-ფიში ... 6:3;7:6
ჯოკოვიჩი-ბერდიხი ... 7:5;6:0

**ვტა. ცინცინატი. ფინალი**

შარაპოვა-ზვონარევა ... 2:6;6:3;6:3
პეტკოვიჩი-იანკოვიჩი ... 6:7;1:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge

# ლიბიის ოპოზიცია ტრიპოლის უახლოვდება




შაბათს, გვიან საღამოს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში სროლა დაიწყო. მიმომხილველების თქმით, ეს ხმა ნაკლებად წააგავდა ჰაერში უწესრიგო სროლას, რომელიც ტრიპოლიში მანამდეც ხშირად ისმოდა და უფრო ბრძოლას ჰგავდა.

ადგილობრივი მოსახლეობა კადაფის მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის გააფთრებული შეტაკებების შესახებ იუწყებოდა.

ნაშუაღამევს სროლის ხმა შეწყდა. დაპირისპირებული მხარეები ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის განცხადებებით გამოვიდნენ. კადაფის რეჟიმის ინფორმაციის მინისტრმა მუსა იბრაჰიმმა ტელეეთერში განაცხადა, რომ ქალაქში ოპოზიციის მებრძოლების მცირერიცხოვანმა ჯგუფებმა შემოაღწიეს, მაგრამ უსაფრთხოება უკვე აღდგენილია.

მან განაცხადა, რომ მუამარ კადაფი ლიბიელი ხალხის ბელადად რჩება და რომ ათასობით ადამიანი მზად არის მის დასაცავად.

მოგვიანებით ეთერში თავდ კადაფი გამოვიდა. მან თავის მოწინააღმდეგეებს ვირთხები უწოდა და ხალხს მოუწოდა „მილიონებად დარაზმულიყვნენ და ოპოზიციის ხელში მყოფი ქალაქები გაეთავისუფლებინათ.

მიმომხილველების ვარაუდით, დრო ოპოზიციის სასარგებლოდ მუშაობს. ამჟამად იგი გაცილებით უკეთ არის შეიარაღებული, სამთავრობო ჯარები კი ნატოს მუდმივი თავდასხმების შედეგად სუსტდებიან.

რაც შეეხება ოპოზიციას, ეროვნული გარდამავალი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აბდელ ჰაფიზ გოგამ განაცხადა, რომ ზარმა ჩამოჰკრა და ტრიპოლიში ამბოხება დაიწყო.

მისი თქმით, მოვლენები წინასწარ მონიშნული გეგმის მიხედვით ვითარდება და კადაფის მოწინააღმდეგეები დედაქალაქში ეროვნულ გარდამავალ საბჭოსთან ერთად შეთანხმებულად მოქმედებენ.

პარასკევს ლიბიის ოპოზიციის ძალებმა ქალაქები ზლიტანი და ზავია აიღეს, რომლებიც ტრიპოლიდან შესაბამისად 160 და 30 კმ-ის დაშორებით მდებარეობენ.

იმავდროულად, კადაფის ერთგულმა ჯარებმა ინტენსიური სროლის შემდეგ თავიანთ მოწინააღმდეგეებს საპორტო ქალაქ ბრეგას სამრეწველო რაიონი დაატოვებინეს.

ბრეგაში ქვეყნის სიდიდით მეორე ნავთობგადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს, რომელიც კონფლიქტის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა.

ბიბისის მიმომხილველმა ქალაქ ზლიტანში სტუმრობის შემდეგ განაცხადა, რომ ქალაქი მთლიანად ოპოზიციის ხელშია და მათი ბლოკპოსტები ყველგან არის გამართული.

მიუხედავად ამისა, ქალაქის ცენტში კვლავ ისმის სროლა და არსებობს კადაფის ერთგული მებრძოლების ცეცხლის ქვეშ მოხვედრის საშიშროება.

ბიბისის ჟურნალისტები ასევე იუწყებიან, რომ ქალაქი ზავიაც მეამბოხეთა ხელში იმყოფებიან.

მიმომხილველების თქმით, კადაფის არმიის რამდენიმე დაღუპული მეომარი მეზობელი ჩადიდან ჩამოყვანილი დაქირავებული აღმოჩნდა.

ოპოზიციის ძალები ტრიპოლის სამხრეთიდანაც უტევენ. ზღვიდან ქალაქის მისადგომებს ნატოს სამხედრო დაჯგუფება აკონტროლებს. ლიბიის საჰაერო სივრცე ფრენისთვის აკრძალულ ზონად არის გამოცხადებული და ამ აკრძალვის დაცვას ნატოს თვითმფრინავები აკონტროლებენ.

გავრცელებული ცნობების თანახმად, კადაფის რამდენიმე ყოფილი მომხრე ოპოზიციის მხარეს გადავიდა.

აბდელ სალამ ჯელუდი თავის დროზე კადაფის ხელისუფლების სათავეში მოსვლაში დაეხმარა, მაგრამ შემდეგ იგი კადაფიმ შერისხა. გავრცელებული ცნობების თანახმად, იგი ტუნისიდან ევროპაში გადასვლას ცდილობს.

ლიბიის ნავთობის მინისტრი ომრან აბუკრაა ხუთშაბათს იტალიაში ვიზიტიდან ტრიპოლიში აღარ დაბრუნდა. გავრცელებული ცნობების თანახმად, იგი ტუნისისაკენ გაემგზავრა.

ლიბიის კონფლიქტი თებერვალში დაიწყო, ტუნისისა და ეგვიპტის მასობრივი გამოსვლების შემდეგ.

ლიბიაში ამბოხებულებმა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მუამარ კადაფის კარგად შეიარაღებულ და გაწვრთნილ არმიასთან ვერაფერს გახდნენ.

ლიბიაში დაწყებული სამოქალაქო ომის შედეგად ათასობით უცხოელი, რომელიც ლიბიაში სამუშაოდ ჩავიდა, ტრიპოლიში აღმოჩნდა გამომწყვდეული. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია იუწყება, რომ უახლოეს დროში შრომითი მიგრანტების ევაკუაციას აპირებს.

კონფლიქტის დაწყების შემდეგ ლიბია 600 ათასამდე უცხოელმა მუშამ დატოვა.

# ტიმოშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება



უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს პრესმდივნის, მარინა საროკას თქმით, ტიმოშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება.

საროკას თქმით, ტიმოშენკო მოითხოვს, რომ იგი გასინჯოს ექიმმა, რომელსაც თავად ენდობა, სისხლის ანალიზები აუღოს და გამოარკვიოს ის უცნაური სიმპტომები, რომელიც მას გამოუვლინდა.

როგორც საროკა ამტკიცებს, ხელისუფლები კვლავაც ყურადღებას არ აქცევენ ტიმოშენკოს განცხადებებს მისი ნდობით აღჭურვილ ექიმთან შემოწმების აუცილებლობის შესახებ.

გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავინდებურად უპასუხოდ რჩება წერილი, რომელიც კიევის პეჩორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს, როდიონ კირეევს ომბუდსმენმა ნინა კარპაჩევამ გაუგზავნა.

ტიმოშენკოს პარტია „ბატკივშჩინას“ წარმომადგენლები უკიდურესად შეშფოთებული არიან ტიმოშენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობით. ისინი ამტკიცებენ, რომ სამედიცინო დახმარების უფლების შეზღუდვა არც ერთ რეჟიმს არ გააჩნია, რადგან იგი სამოქალაქო კოდექსით და კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი.

საროკამ განაცხადა, რომ თუკი უახლოეს მომავალში ტიმოშენკოსთან მის მკურნალ ექიმს არ შეუშვებენ, ეს დადასტურება იქნება იმისა, რომ ხელისუფლები რაღაცას მალავენ, ტიმოშენკოს ავადმყოფობა კი შემთხვევითი არ არის.

# ჰამბურგის პოლიციამ არეულობის მონაწილენი დააკავა



ჰამბურგში კვირა საღამოს დაწყებული მსობრივი სეირნობა პოლიციასთან შეტაკებასა და არეულობაში გადაიზარდა.

გერმანიის სიდიდით მეორე ქალაქში დაწყებული „შანცერფესტი“ დემონსტრაციაში და მის შემდგომ ვანდალურ რბევასა და პოლიციასთან შეტაკებებად გადაიქცა.

რეალობის ინიციატორებმა ერთ-ერთ ქუჩაზე ბარიკადები აღმართეს და ცეცხლი წაუკიდეს მათ. გაურკვეველია, თუ რამ განაპირობა მათი ეს მოქმედება.

შემთხვევის ადგილიდან გავრცელებულ კადრებზე ნათქვამია, რომ გარკვეულ პირთა ჯგუფი პოლიციის მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა.

პოლიციამ არეულობის რაიონს ალყა შემოარტყა და მის მონაწილეთა წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა. მოგვიანებით პოლიციელებმა ჯავშანმანქანის საშუალებით ბარიკადები დაშალეს.

პოლიციის ცალკე ქვეგანაყოფი ბანკის დასაცავად გამოყვეს, რადგან დემონსტრანტების ერთმა ჯგუფმა ბანში შეღწევა სცადა.

სააგენტო რეიტერის მიერ გავრცელებულ ფოტოებზე ჩანს, რომ პოლიციამ არეულობის რამდენიმე მონაწილე დააპატიმრა. დაკავებულთა რიცხვის შესახებ არაფერი უთქვამთ.

ვანდალებმა მახლობლად ქუჩაში გაჩერებული ავტომობილები და მაღაზიების ვიტრინები დაამსხვრიეს.

ამბურგის მოვლენები ლონდონისა და ბრიტანეთის სხვა ქალაქების თავისებურ გამოძახილად იქცა. დიდ ბრიტანეთში 6-დან 10 აგვისტომდე არეულობის შემდეგ მაროდიორობის, ძარცვის, ქურდობისა და ცეცხლის წაკიდებისათვის 2800 ადამიანი დააკავეს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# კროსვორდი



1. ავი სული, ეშმაკი; 2. ცდის გარეშე; 3. ორლესული მახვილი; 4. ბიზეს ოპერა; 5. თიხის ჩასაბერი საკრავი; 6. საყანედ გაკაფული ტყე; 7. ქვევრის მსგავსი ჭურჭელი; 8. რისამე დედააზრი; 9. კუდიანი ვარსკვლავი; 10. ჰამლეტის სატრფო; 11. მეოთხე ნოტი; 12. საფლობი ტალახი; 13. წყვილჩლიქიანი გარეული ცხოველი; 14. გაზაფხულის თვე; 15. დროებითი სადგომი ღია ცის ქვეშ; 16. სოფელი დუშეთის რაიონში; 17. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 18. ბილიარდის ჯოხი; 19. ბულგარელი ნათელმხილველი; 20. პატარა სარწყავი არხი; 21. სახოტბო ლექსი; 22. ნუშის ლიქიორი; 23. კომში (კუთხურად); 24. საქმიანი ქაღალდი კონვერტით; 25. ბიბლიური საკვები; 26. ერთგვარი ყავა; 27. მამითადი; 28. ... ფეროუ; 29. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი; 30. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი; 31. მწნილი; 32. ზღვისპირა დაბალი უბე; 33. კეთილსურნელება.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩამპინო; 2. ათოსი; 3. „მალთაყვა“; 4. წირქოლი; 5. შერმადინი; 9. ნოქარი; 12. ხერსონი; 14. ორშიმო; 15. ღელე; 17. „სასკო“; 18. ყრმა.

**თარაზულად:** 6. კახეთი; 7. გაბრიაძე; 8. აპნისი; 10. ვოლგა; 11. ნოქალაქევი; 13. მოლაღური; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. კომერცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რაპირა; 2. საკი; 3. „ზავენტემი“; 4. ფარსი; 5. მალხაზი; 8. სინუსი; 9. ბურგუნდია; 12. ხოხობი; 14. მაკეტი; 16. ომარი.

**თარაზულად:** 1. რასმუსენი; 6. მადაფათა; 7. პარსეკი; 9. „ბაზელი“; 10. ბივა; 11. გუდიარი; 13. რამლი; 18. რონოდა; 19. ბისტრო; 17. კიშლაკი; 20. ლივადია.

კულტურა

# „ფოკანი“ იუბილეს ბათუმში აღნიშნავს

**„ფოკანის სახელოსნოები“ დაარსებიდან 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით თბილისის შემდეგ „ფოკანი“ თავის იუბილეს ბათუმში აღნიშნავს.**

ეკა ირემაშვილი

ქართული ტიხრული მინანქრის, ოქრომჭედლობისა და კერამიკის სახელოსნოების მაღაზიათა ქსელ „ფოკანის“ ნამუშევრების გამოფენა თბილისში მისმა უწმინდესობამ გახსნა. გრანდიოზული გახსნაა დაგეგმილი ბათუმშიც. ექსპოზიციის გახსნას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მინისტრთა კაბინეტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და სხვა ოფიციალური პირები და სტუმრები დაესწრებიან.




„ფოკანის სახელოსნოები“ 2001 წელს დაარსდა. ქართული ტიხრული მინანქრის კეთების უძველესი ტრადიციების აღდგენის მიზნით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და ფოკას წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის იღუმენია ელისაბედის ძალისხმევით მონასტერში ამ ტრადიციების აღდგენა დაიწყო, დავით კაკაბაძის ხელმძღვანელობით კი იქვე დაარსდა ტიხრული მინანქრის სახელოსნო „ფოკანი“. მას შემდეგ ფოკანის სახელოსნოების შემოქმედებითი სფერო გაფართოვდა — 2005 წელს მუშაობას შეუდგა ფაიფურის სახელოსნო, 2007 წელს — მოზაიკისა და მიკრომოზაიკის სახელოსნო, 2010 წლიდან კი სამკაულების დამზადება დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი ღვაწლის წყალობით, ქართული მინანქრის ნაკეთობების ევროპაში გახიზნული დიდი ნაწილი საქართველოში დაბრუნდა და დღეს ქართული საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს.

იუბილარი სახელოსნოების ნამუშევართა ექსპოზიცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო და ფოკანის სახელოსნოების დაარსებიდან 10 წლის იუბილეს მიეძღვნა. თბილისში ჩატარებული გამოფენა ორი წლის განმავლობაში პირველი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ „ფოკანის სახელოსნოები“ უკვე 10 წლისაა.

ბათუმში „ფოკანის სახელოსნოების“ იუბილესთან დაკავშირებული გამოფენა რიგით მეორეა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ათი წლის განმავლობაში „ფოკანის სახელოსნოებში“ შექმნილი საუკეთესო ნამუშევრები, როგორც კერძო კოლექციებიდან და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებიდან მათთან ერთად დამთვალიერებელი გაეცნობა ახალ ნაკეთობებსაც — მინანქრით, მიკრომოზაიკითა და ძვირფასი თვლებით მორთულ ნივთებსა და ხელით მოხატულ ფაიფურის ჭურჭელს.

როგორც „ფოკანის“ ხელმძღვანელი დავით კაკაბაძე აღნიშნავს, მათი სახელოსნოების მიზანია, ქართულ საიუველირო წარმოებას უნიკალური თვითმყოფადობა დაუბრუნოს, აღადგინოს ძველი ქართული ხელოვნების მოტივები, განუმეორებელი მოხაზულობა და ორნამენტიკა და მაქსიმალურად გაავრცელოს მომხმარებლებში თავისი ახალი-ძველი სტილით ნაკეთი პროდუქცია. „ფოკანის სახელოსნოები“ ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს — საეკლესიო და საერო წარმოებაში.

„ფოკანის სახელოსნოების“ ნაკეთობების მთავარი განმასხვავებელი თვისება უძველესი ქართული ორნამენტისა და საიუველირო ხელოვნების ნიმუშების სტილის დაცვა, მის საფუძველზე როგორც ტრადიციული კანონიკური წესების დაცვით საეკლესიო ნაკეთობების, ასევე თანამედროვე სამკაულების შექმნაა. ამით ფოკანი ტრადიციებს ახალ სიცოცხლეს სძენს.

დღეს საიუველირო საწარმო „ფოკანის სახელოსნოები“ უკვე საკმაოდ პოპულარულია როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მან უკვე მიიღო ჯეროვანი აღიარება 2011 წლის „ბასელვორლდზე“ და წარმატებით შეუდგა ბრენდისა და თავად ნატიფი ხელოვნების განვითარებას საქართველოში.

„ფოკანის სახელოსნოების“ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი საეკლესიო ნაკეთობები სამების საკათედრო ტაძარში, სვეტიცხოველში, უწმინდესისა და უნეტარესის საკუთრებაში, გეთსიმანიაში (მცხეთა), სამთავროს, ბოდბის, ფოკას მონასტრებსა და ზარზმაში მეუფე პეტრეს რეზიდენციაშია დაცული.

ბათუმში „ფოკანის სახელოსნოების“ 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა 22 აგვისტოს გაიხსნება. მასზე საეკლესიო ნივთებთან ერთად საერო ნივთები, სამკაულები და სხვადასხვა აქსესუარიც იქნება წარმოდგენილი.

სპორტი

# რიჩი დიქსონს საბოლოო შემადგენლობის გარკვევა არ გასჭირვებია

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრები მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის 32 მორგაბით საფრანგეთში ემზადებოდა. აქედან ნაკრების მთავარ მწვრთნელ რიჩი დიქსონს საბოლოოდ უნდა დაესახელებინა 30 სპორტსმენი, რომლებიც ახალ ზელანდიაში წავიდოდნენ. მწვრთნელს საამისოდ თავსატეხი არ გასჩენია — ტრავმის გამო ორი მორაგბე ავტომატურად გამოაკლდა და ბუნებრივად დავიდა იმ 30 სპორტსმენამდე, რომლებიც სექტემბერ-ოქტომბერში ქვეყნის ღირსებას ახალ ზელანდიაში დაიცავენ.



გიორგი ბეგაძემ „ყოჩებიდან“ ხელი დაიზიანა, ხოლო „ლოკომოტივის“ მესამეხაზელმა ზვიად მაისურაძემ მუხლი იტკინა. რადგან სამსოფლიოჩემპიონატო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა 22 აგვისტოა, მწვრთნელებმა აღარ გარისკეს და ახალ ზელანდიაში ზემოთ ნახსენები მორაგბეები აღარ მიდიან, დანარჩენი ოცდაათი კი განაცხადში იქნება.

უცხოურ პრესაში გავრცელდა ჩვენთვის სამწუხარო ინფორმაცია — ფრანგული „კლერმონისა“ და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ზირაქაშვილმა მუხლი დაიზიანა და „ბურგუნის“ წინააღმდეგ ამის გამო ვერ ითამაშა. საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახურის ცნობით კი ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება — „ზირაქა“ ჯანმრთელადაა და ახალ ზელანდიაში აუცილებლად ითამაშებს. ტრავმა აწუხებდა „ბეზიესა“ და „ბორჯღალოსნების“ მგეზავ ლაშა მალაღურაძეს, მაგრამ მისი დაზიანებაც მიზერულია და, წესითა და რიგით, ახალ ზელანდიაში სრულ მზადყოფნაში ჩავა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასზე ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: გოდერძი შველიძე (მონპელიე, საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), ვასილ კაკოვინი (ბრივი, საფრანგეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი), ჯაბა ბრეგვაძე (არმია, თბილისი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია (ობენა, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე, საფრანგეთი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი, თბილისი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (კერკერენი, საფრანგეთი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სენი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (არმია, თბილისი), მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდონი, საფრანგეთი), ლექსო გუგავა (ლელო, თბილისი), ლაშა ხმალაძე (ლელო, თბილისი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი, საფრანგეთი), რევაზ გიგაური (ფიჟაკი, საფრანგეთი), ალექსანდრე თოდუა (ლელო, თბილისი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია, ქუთაისი), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი).

რაც შეეხება ნაკრების გეგმებს, ის კანის მახლობლად პატარა ქალაქ მანდელეიში დაბრუნდა, სადაც ფრანგული შეკრება დაიწყო. ბიჭები ცოტას დაისვენებენ და მერე ისევ წვრთნას განაახლებენ. 4 სექტემბერს □ბორჯღალოსნები□ გეზს ახალი ზელანდიისკენ აიღებენ, 5 სექტემბერს უკვე დანიშნულების ადგილზე იქნებიან, პირველ შეხვედრას კი 14 სექტემბერს შოტლანდიის წინააღმდეგ გამართავენ. 18 სექტემბერს ქართველთა მეტოქე ინგლისი იქნება, 28 სექტემბერს — რუმინეთი, ხოლო ჯგუფური ეტაპი ქართველთათვის 2 ოქტომბერს არგენტინასთან ჯახით დასრულდება.

# ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატამდე ბოლო შეკრებას იწყებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**იგორ კოკოშკოვი:**

— დიდი მადლობა მობრძანებისთვის. საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღიდან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ. ნაყოფიერად ვმუშაობთ. დიდი თვე იყო — ბევრი უარყოფითი და დადებითი მხარე დავინახეთ. ზოგი რამ გამოვასწორეთ, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე მზად ვართ. ეს არც მაღელვებს, რადგან ვხედავ, რომ გუნდი პროგრესირებს. დეტალებზე სამუშაოდ კი დრო კიდევ გვაქვს. ბალტიისპირეთში კიდევ სამ საკონტროლო შეხვედრას ჩავატარებთ, რომლებშიც დაცვაზეც ვიმუშავებთ, შეტევაზეც და ყველაფერზე, რაც გამოსასწორებელი გვაქვს.

***— ნაკრებში აქამდე 14 კალათბურთელი ვარჯიშობდა, ლატვიაში კი 13 მიგყავთ.***

— შეკრების ყველაზე რთული პერიოდი სწორედ კალათბურთელებთან შელევაა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე 13 კაცში ვერ მოხვდა ლევან ფაცაცია, რომელიც შეკრების პირველი დღიდან თავდაუზოგავად მუშაობდა. ლატვიაში მიგვყავს ასევე ნიჭიერი ახალგაზრდა გიორგი შარაბიძე, რომელიც მე-13 კალათბურთელი იქნება. ევროპის ჩემპიონატის განაცხადში 30 აგვისტოს 12 კალათბურთელის გვარი უნდა დაფიქსირდეს, შემდეგ ცვლილებების განხორციელების საშუალება არ გვექნება.

***— ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების პერსპექტივებზე რას იტყვით?***

— რამდენიმე წლით უკან გადავინაცვლებ: საქართველოს ნაკრებთან ერთად პირველი მატჩი ლუქსემბურგთან 2008 წელს ჩავატარე. მას მერე გუნდი ყოველწლიურად წინ მიდიოდა და დღეს არა ლუქსემბურგთან, არამედ ევროპის წამყვან ქვეყნებთან სათამაშოდ ვემზადებით. კარგად მესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია, საქართველოს მსგავსი პატარა, მაგრამ დიდი საკალათბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად წარმოჩენა. ყოველ მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და ვეცდებით, გულშემატკივარს სიამოვნება მივანიჭოთ.

***— ევროპის ჩემპიონატზე თქვენგან სიურპრიზებსაც ველით.***

— ეს მზადების შემადგენელი კომპონენტია. თუმცა მაშინ, როცა 6 დღეში ხუთი მატჩის ჩატარება გვიწევს, სიურპრიზები უფრო საწყის შეხვედრებშია მოსალოდნელი.

***— ჩვენც ეგ გვინდა — პირველი მატჩი ხომ ბელგიასთანაა.***

— სადღეისოდ სწორედ პირველ თამაშზე ვფიქრობთ. ბელგიასთან შეხვედრას რომ მოვილევთ, რუსეთზე გადავერთვებით, შემდეგ — სლოვენიაზე.

***— მეტოქეების ტესტ-მატჩების ვიდეოჩანაწერები თუ მოიპოვეთ?***

— ამაზე ჩემი ასისტენტები ზრუნავენ. მე მთლიანად საქართველოს ნაკრებზე ვარ ფოკუსირებული. მთავარია, ჩვენ ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე. ასეთ შემთხვევაში ქართველებს კი არ მოუწევთ მოწინააღმდეგეზე ფიქრი, პირიქით — სხვებს გაუჩნდებათ თავსატეხი.

**მანუჩარ მარკოიშვილი:**

— ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ ქართული ხასიათი — ბოლომდე ვიბრძოლოთ და ევროპულ საზოგადოებას დავანახვოთ, რა შეგვიძლია. 31 აგვისტომდე დრო კიდევ არის, სამი მატჩი გვაქვს დარჩენილი და სწორედ იქ უნდა გამოვასწოროთ საბოლოოდ ჩვენი შეცდომები.

**ვლადიმერ ბოისა:**

— ისევე, როგორც საქართველოს ნაკრები, მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლას მეტოქეებიც გეგმავენ. ბელგიას, უკრაინასა და ბულგარეთსაც მიაჩნიათ, რომ ეს შეუძლიათ, რუსეთსა და სლოვენიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მესამე ადგილი დავიკავოთ და ჯგუფიდან გავიდეთ. მეორე და პირველ ადგილზე გასვლა უკვე ზღაპარი იქნება.

**ზაზა ფაჩულია:**

— ექვსი წელი ბ დივიზიონში ვიყავით. თამაშს ნელნელა ვაუმჯობესებდით და, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატამდე მიაღწია. ეს ჩვენი კალათბურთის ისტორიაში პირველად მოხდა და მოხარული ვარ, რომ საქართველოს ღირსების დაცვა ევროპის მთავარ საკალათბურთო ფორუმზე მოგვიწევს. წინაც უნდა გავიხედოთ — იმედს ვიტოვებ, რომ მომავალი თაობა ჩვენ მიერ მიღწეულზე არ შეჩერდება და შედეგებს გააუმჯობესებს. ერთი თვეა, რაც ვემზადებით, ცხრა მატჩი ჩავატარეთ, დავინახეთ ჩვენი უარყოფითი და დადებითი მხარეები. საკონტროლო შეხვედრებში შეცდომა დასაშვებია, მაგრამ ეს ოფიციალურ მატჩებში არ უნდა გამეორდეს. ევრობასკეტს უკეთ მომზადებულები უნდა შევხვდეთ, ერთიორად კარგად გავისარჯოთ.

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა

TV პროგრამა

**ოთშაბათი 22 აგვისტო**

**07.30** დოკ. ფილმი "სამყარო" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** სათავგად. ფილმი **"ჰერაკლე"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **15.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედ-ინფო **19.00** დოკ. ფილმი "მიკი მაუსის კლუბი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერიალი **"კრიმინალური სეზონი"** **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი **"ზარი 2"** (18) (ნ. უოტსი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი "მილიონერები" **09.00** საბ. ფილმი **"მადაგასკარი"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი "საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი" **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** სპექტაკლი **"რუმბი"** **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00, 19.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"ნაბიჯი წინ"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"შაფტი"** (18)

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერიალი **"კლუბი"** **10.00** სერიალი **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სერიალი **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერიალი **"ავრორა"** **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** მელომანია **23.00** მხ. ფილმი **"გარიგება 2"** **01.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერ. **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **00.20** მხ. ფილმი **"მატჩ პოინტი"** (15) (ს. იოჰანსონი) (სუბტ.) **02.50** მხ. ფილმი **"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (გ. კინეარი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00, 13.00, 19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** **14.30** სერიალი **"ტყუპები"** **15.30** პულსი **16.20** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ელიზა დი რივერმბროზა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** "მზის სახლი" – საუკეთესო მომენტები **23.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერიალი **"სოფია, ცოტა მადრიდე"** **10.30** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **12.50, 19.35** სერიალი **"მოსკა და სმიტი"** **15.15** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"პასტორალი"** **13.35** კონცერტი – ბრავო, მაესტრო **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** სპექტაკლი **"სამეფო ოჯახი"** **17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს ისტორია **22.20** დოკ. ფილმი "რევაზ ინანიშვილი" **22.35** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი **"ბაკურხეველი ხევსური"** **00.30** განთიადის კოლაჟი **01.20** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 აგვისტო

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,655
ევრო —2,3691
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259
რუსული რუბლი — 0,0582

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 13-16
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23-26, ღამით — 15-1§
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა წვიმა, დღისით — 24-26, ღამით — 7-13

**ამინდის პროგნოზი 22 აგვისტოსთვის**




# ლიანა ისაკაძე საქართველოშია

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე ლიანა ისაკაძე უკვე საქართველოშია და აქტიურად ემზადება მის მიერვე დაარსებული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალისთვის „ღამის სერენადები“, რომელიც წელს ყველასგან გამორჩეული იქნება. ფესტივალის დეტალებზე სასაუბროდ ქართველმა ხელოვანმა ჟურნალისტებთან საგანგებო შეხვედრა მოაწყო და ყველა იმ სიახლეზე ისაუბრა, რომელიც წლევანდელ „ღამის სერენადებთან“ არის დაკავშირებული. უდიდესი მოლოდინი აქვს ამ ფესტივალისადმი თავად კლასიკური მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას, რადგან ბათუმში მსოფლიო პრემიერაა დაგეგმილი.



ლიანა ისაკაძესთან ერთად პრესკონფერენციას უძღვებოდნენ პატრიარქის ფონდის თავმჯდომარე ლაშა ჟვანია, ბათუმის მერიის კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილე ნათია სურგულაძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, კონცერტ „ღამის სერენადების“ გენერალური სპონსორის, ბანკ „რესპუბლიკის“ გენერალური დირექტორი კრისტიან კარმანიოლი.

ფესტივალი „ღამის სერენადები“ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით ხორციელდება. ღონისძიების მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ბათუმის მერია, ბათუმის კულტურის სამინისტრო და პატრიარქის ფონდი. ფესტივალის გენერალური სპონსორობა ბანკმა „რესპუბლიკამ“ ითავა, ფესტივალის ორგანიზატორი კი აკადემიური ხელოვნების განვითარების ცენტრია.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორი მანანა დავითაშვილი აცხადებს, წელს ფესტივალი განსაკუთრებულად ღირებული იქნება, რადგან ლიანა ისაკაძის საიუბილეო წელია. ქართველ მევიოლინეს 2 აგვისტოს 65 წელი შეუსრულდა, ამიტომ ფესტივალი „ღამის სერენადებიც“ მთლიანად ლიანა ისაკაძეს ეძღვნება.

წელს ფესტივალი ახლად გახსნილ ბათუმის მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართება. 4 დღის განმავლობაში მსმენელს საშუალება მიეცემა, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსების კონცერტებს დაესწროს.

ლიანა ისაკაძის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს გამორჩეულია. სწორედ ბათუმში მოხდება „ფეისბუქის ვირტუოზების“ პრეზენტაცია. კამერული ორკესტრი ლიანა ისაკაძემ სწორედ ამ სოციალური ქსელის საშუალებით შექმნა. მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები ქართველ მევიოლინესთან ერთად ბათუმში უნიკალურ კომპოზიციებს შეასრულებენ.

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

# ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატამდე ბოლო შეკრებას იწყებს

**საქართველოს ეროვნულ გუნდს 3 საკონტროლო მატჩიღა დარჩა ჩასატარებელი და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპიც დაიწყება. დღეს იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი გუნდი ლატვიელებთან პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს, მათვე დაუპირისპირდებიან 24 აგვისტოსაც, ხოლო 27-ში უკვე ევრობასკეტის მასპინძლებს, ლიტველებს შეხვდებიან.**



ლატვიაში გამგზავრების წინ ჩვენი ნაკრების სერბმა თავკაცმა სასტუმრო „ჰოლიდეი ინნში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი საბოლოო შემადგენლობა დაასახელა, ასევე განვლილ მოსამზადებელ პერიოდსა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. პრესკონფერენციას ნაკრები სრული შემადგენლობით დაესწრო, თუმცა ძირითადი კითხვები მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან იყო.

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

# გრილი ზეწარი — ღამის კოშმარის წამალი

ბრიტანული გაზეთის, „დეილი მეილის“ თანახმად, ლენგფორდის მკვიდრ 9 წლის ლუის პიტკერნს ხუთი წლის განმავლობაში ღამის კოშმარები აწუხებდა.



კოშმარები მას სამი წლიდან დაეწყო და წლიდან წლამდე მდგომარეობა უარესდებოდა. დილით ბავშვი გაწამებული იღვიძებდა, სკოლაში ყურადღების მოკრებას ვერ ახერხებდა.

როგორლაც დედამისს მისმა მეგობარმა ურჩია, რომ კოშმარები სიცხის ბრალი შეიძლება ყოფილიყო. დედამ სპეციალური, დერმატოლოგიური ზეწრები შეიძინა, რომლებიც სხეულის ტემპერატურის რეგულირებას უწყობენ ხელს. ამან შედეგი გამოიღო, ლუისს მთელი ღამე მშვიდად სძინავს.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ღამის კოშმარები ძილის სერიოზული დარღვევაა. იგი ბავშვების 15%-ს აწუხებს, მათში შიშის შეგრძნებას იწვევს. ბავშვს მოულოდნელად ეღვიძება, გულისცემა აჩქარებულია, აღენიშნება ოფლიანობა.

გ. თ.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 22 აგვისტოსთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ლომი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქალწული** — საინტერესო დღეა, ყველაფერს ლაზათიანად აკეთებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მორიელი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **თხის რქა** — ისე მოიქეცით, როგორც გული გკარნახობთ. **მერწყული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თევზები** — შენაძენით კმაყოფილი ხართ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 4. ნადირთმოშენების ფერმა; 6. წვრილი სისხლძარღვი; 8. შტატი აშშ-ში; 10. ქალაქი და ნავსადგური იტალიაში; 11. პარაგვაის ჩაი; 12. თავდავიწყებითი გატაცება რაიმეთი; 14. მინანქარი; 17. სიმებიანი საკრავი ძველად; 19. ძველის საპირისპირო; 20. უაზრობა, სისულელე; 21. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 22. მონასტრის კუთვნილი ადგილ-მამულის აღწერილობა; 23. საყოველთაო ლოცვა.

**შვეულად:** 1. ზოგი პროფესიის პირთა გაერთიანება; 2. კრივში დარტყმა ქვემოდან ყბაში; 3. ნავთობისა და წყლის ამოღება ჭაბურღილიდან; 5. წარწერა საფლავის ქვაზე ძველ საბერძნეთში; 7. რისამეს ნაწილებად დაშლა მისი გამოკვლევის მიზნით; 9. ფრანგული ყველი; 13. აფროდიტეს ერთ-ერთი სახელი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. მექსიკის დედაქალაქი; 16. საიდუმლოდ დათქმული სიტყვა ან ფრაზა; 18. სპორტის სახეობა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ




## იუმორი



— ნაჩუქარ ბინას სველ წერტილებს არ უმოწმებენ...

* * *

— არ არსებობს უხამსი ფრაზები, არსებობს უხამსი ყურები...

* * *

— მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დინოზავრები გონიერი არსებები იყვნენ, სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, კალენდარი ჰქონდათ, დამწერლობა, სახელმწიფოც დააარსეს და მეცნიერებასაც მისდევდნენ. გათხრების დროს აღმოაჩინეს დინოზავრების გაეროში ერთ-ერთი ტირანოზავრის გამოსვლის ჩანაწერი. თავის სიტყვაში იგი ამტკიცებდა — შიმპანზეებზე გენეტიკური ექსპერიმენტები კარგს არაფერს მოგვიტანსო...

* * *

პარიკმახერი:

— იცით, მადამ, თმაში ჭაღარა შეგპარვიათ.

— არც არის გასაკვირი, ცოტა უფრო სწრაფად მუშაობა არ გიცდიათ?

* * *

— და პრინცმა, როგორც კი დაინახა კონკია, თვალი ველარ მოსწყვიტა.

— მამიკო, პრინცს კონკიას თვალი რაში სჭირდებოდა?

* * *

— კურდღელი რატომ შეჭამე, შენ ხომ ვეგეტარიანელი ხარ?

— კომბოსტო შემიჭამა და შური ვიძიე!

გ. თ.

## ტესტი

## რაზე მეტყველებს თქვენი ხელწერა?



*1. ასოების ზომა:*
ა. ძალიან პატარა (3), ბ. პატარა (7), გ. საშუალო (17), დ. მსხვილი (2).

*2. ასოების დახრა:*
ა. მარცხნივ (2), ბ. ოდნავ მარცხნივ (5), გ. მარჯვნივ (14), დ. მკვეთრად მარჯვნივ (0), ე. პირდაპირ (5).

*3. ასოების ფორმა:*
ა. მომრგვალებული (9), ბ. უფორმო (19), გ. კუთხოვანი (19).

*4. სტრიქონების დახრა:*
ა. ზემოთ (16), ბ. პირდაპირი სტრიქონები (12), გ. ქვემოთ (1).

*5. ინტენსიურობა და კალმის დაწოლის ძალა:*
ა. მსუბუქი (8), ბ. საშუალო (15), გ. ძალიან ძლიერი (2).

*6. წერის მანერა:*
ა. გადაბმული ასოები (11), ბ. განცალკევებული ასოები (18), გ. შერეული (15).

*7. ზოგადი შეფასება:*
ა. აკურატული (13), ბ. ზოგი ასო იკითხება, ზოგი არა (9), გაურკვეველი (4).

**პასუხები**

**45 ქულაზე ნაკლები:** ავადმყოფი ან ძალიან ხანდაზმული ადამიანების ხელწერა.

**45-55 ქულა:** გაუბედავი, პასიური, ფლეგმატური ადამიანი.

**55-75 ქულა:** გაუბედავი, რბილი, დახვეწილი მანერების მქონე ადამიანი.

**75-85 ქულა:** პირდაპირი, გულახდილი, საკუთარი ღირსების შეგრძნების მქონე ადამიანი.

**85-95 ქულა:** პირდაპირი და კეთილსინდისიერი ადამიანი მდგრადი ფსიქიკით.

**95-105 ქულა:** ინდივიდუალისტი, ფეთქებადი ხასიათის, სხვაზე დამოკიდებული, ნიჭიერი ადამიანის ხელწერა.

**105-ზე მეტი:** უპასუხისმგებლო ადამიანი, ზოგჯერ არადისციპლინირებული, უხეში.

გ. თ.